140
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ზაფხული

აი, ზაფხული ცხელი;
ზურგზე საველე ჩანთა...
ბარი შორს დარჩა, ქვევით,
გზებს ამოვყევით მთა-მთა.

როცა ჯერ კიდევ ნისლში
თვლემენ ბებერი მთები,
სერით-სერამდე ისმის
ჩვენი საყვირის ხმები.

მივდევთ გზაწვრილებს ცისკენ
იქ, სად რიყრაყი ღვივის,
და აღტაცებით ვისმენთ
შლეგ ჩანჩქერების ხვივილს.

მივალთ სულ მაღლა, მაღლა...
და ჰა, მწვერვალსაც ვლაშქრავთ!

ბნელ უფსკრულებზე ტალღად
გადიგრიალა „ვაშამ".

ისევ ვეშვებით თავქვე...
ხევი... ჭალები... ველი...
აქეთ—ტყე გვიხმობს ცალკე,
იქით—ზღვისპირი ვრცელი.

არ ვეპუებით დელგმას,
არც თაკარა დღის ალმურს;
ასე დავივლით ერთად
ჩვენს სათაყვანო მამულს.

და როს პირველი ზარი
დარეკს სწავლისკენ ლტოლვად,—
გაკაჟებული ჯანით
დავუბრუნდებით სკოლას.

**სიმონ შამუგიანი**



ფოტოეტიუდი ანზორ ჩიგოგიძისა

## დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად

# მეტალურგიული გიგანტი

შორიდანვე ჩანს ცაში აწვდილი მილები, მერე — გაშლილ ვაკეზე წამომართული უზარმაზარი შენობებიც. ეს რუსთავია, ქართველი მეტალურგების, ქიმიკოსებისა და მშენებლების ქალაქი.

რუსთავი ამიერკავკასიის მძლავრი მეტალურგიული კერაა, აქ ადნობენ ფოლადსა და თუჯს, გლინავენ სხვადასხვა ზომისა და წონის მილებს, უძვირფასეს პროდუქციას აწვდიან სახალხო მეურნეობას.

ქარხნის მილები ჩვეულებრივ ბოლავენ, გავარვარებულ საამქროებში კი ცხოვრება დუღს. ვესტუმროთ თუნდაც მგლინავებს. საწყობიდან მოჰქრის ცივი ლითონი, დიდი ტემპერატურით ანთებული ღუმელი მას აცხელებს, დგანი ფორმას აძლევს და მილიც მზადაა. სათქმელად ეს იოლია, მაგრამ რამდენი რთული ოპერაციის შესრულებაა საჭირო მილების დასამზადებლად! ეს უნდა ჰკითხოთ მეტალურგებს, რომლებიც აქ რამდენიმე წლის წინათ მუშაობდნენ. მაშინ საამქროში ხელით შრომა სჭარბობდა და სიძნელეებიც, ბუნებრივია, მეტი იყო. ახლა კი დგანი „400“ მთლიანად ავტომატიზებულია. უფროსი მგლინავი ნოდარ ფერაძე დროდადრო მექანიზმებს შეავლებს თვალს, რაიმე უწესივრობა თუ იქნა, გაასწორებს, მაგრამ მანქანებს იშვიათად სჭირდებათ დამხმარე ხელი, იშვიათი სიზუსტით მოქმედებს ყველა მექანიზმი.

უფროსი მგლინავია აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი მაღლაფერიძე. გამოცდილი სპეციალისტები თავდადებით შრომობენ, დიდძალ ზეგეგმით პროდუქციას უშვებენ.

ამ საამქროს კომკავშირული უბანი ომარ სეფერთელაძის ხელმძღვანელობით მოწინავეთა შორისაა; ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებიან ნაყოფიერ შრომაში.

საწარმოში ასობით კომუნისტური შრომის დამკვრელია, მათი მარჯვენის წყალობით ბევრი სიახლე, გაუმჯობესება ინერგება. მთელი კოლექტივის შემოქმედებითი შრომის შედეგია ის, რომ ქარხანა რენტაბელური გახდა.

მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა კი ორიოდე ათეული წლის წინათ დაიწყო, როცა უკაცრიელი ველის მყუდროება მშენებლებმა დაარღვიეს. მალე ფეხზე წამოიმართა მთელი ქალაქი...

---

ლითონის დამუშავებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამას ადასტურებს ქართლში, რაჭაში, სვანეთში, იმერეთში და სხვაგან აღმოჩენილი მადნების უძველესი გამონამუშევრები და წიდის გროვები. რკინის დამმუშავებელ ჩვენს წინაპრებზე საგულისხმო და საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ხალხური თქმულებები, უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომები. როგორც ბოლო გამოკვლევები ცხადყოფენ, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს ლითონის დამუშავება უკვე ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე ათასწლეულში დაუწყიათ. თავდაპირველად ლითონს ცივად ამუშავებდნენ, შემდეგ კი აითვისეს მისი გამოდნობისა და ჩამოსხმის პროცესები. მეორე ათასწლეულის დასაწყისში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ბრინჯაოს მეტალურგიამ, ფართოდ გავრცელდა „კოლხური ცული“, ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღები.

ძველი ბერძნები კარგად იცნობდნენ რკინის ხალიბურ მეტალურგიას. ფსევდოარისტოტელე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვა ავტორები ქებით მოიხსენიებენ რკინის დამუშავების ძველ ქართველ ოსტატებს. სტრაბონის ცნობით, ხალიბების მიერ დამზადებულ რკინას უცხოეთში დიდი გასავალი ჰქონია.

როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ლითონების სახელები: ოქრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, რკინა და სხვ. — ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა. ესეც საქართველოში მეტალურგიის ადრეულ განვითარებაზე მეტყველებს.



10.374

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლითონის დამუშავების კულტურამ მაღალ დონეს მიაღწია აღმავალ ფეოდალურ ხანაში, როცა მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

მაგრამ ყველა ჯურის მტრებთან განუწყვეტელმა ომებმა შეანელა საქართველოს ეკონომიური განვითარება, დაქვეითდა მეტალურგიაც და თან იმდენად, რომ მეფე ერეკლემ სპილენძისა და ვერცხლის დამუშავებისათვის ოსტატები ოსმალეთიდან ჩამოიყვანა...

კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ მეტალურგიის განვითარება რუსეთის იმპერიაში შემავალ საქართველოში. 1861 წელს ამუშავდა ჩათახის (ბოლნისის რაიონი) თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო 1875 წელს მან არსებობა შეწყვიტა. ლითონის წარმოებას კუსტარული ხასიათი ჰქონდა, მაგალითად, ზემო რაჭის წვრილ მეტალურგიულ სარეწებში. 1878 წელს სოფლებში — წედისსა და ქვედაში ერთი მახტი და ერთი წოლხვრელი იყო, სადაც სულ 60 კაცი მუშაობდა. ამ წელს ამოღებული იქნა 108 ფუთი მადანი, გადაადნეს 20 ფუთი რკინა. აქ კუსტარულად ამზადებდნენ ცულებს, სახნისებს და სხვა სამეურნეო იარაღებს. 1880 წლიდან ამ სარეწებმაც შეწყვიტეს პროდუქციის გამოშვება.

ცალკეული მრეწველების ცდები, შეექმნათ საქართველოში მსხვილი მეტალურგიული წარმოება — მარცხით დამთავრდა. ჩვენს რესპუბლიკაში შავი მეტალურგიის მძლავრი განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება.

30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. ასეთი ქარხნის აგებისათვის პირობები მოამზადეს ჭიათურის მაღალხარისხოვანმა მანგანუმის მადანმა და იაფმა ჰიდროენერგეტიკულმა რესურსებმა. ფერომანგანუმის წარმოების სამეურნეო-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად მუშაობა გასწიეს ქართველმა სპეციალისტებმა ცნობილი ინჟინერ-მეტალურგის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. ქარხანამ პირველი სამრეწველო პროდუქცია 1933 წლის ოქტომბერში გამოუშვა. პროდუქცია მთლიანად განკუთვნილი იყო ჩვენი სამშობლოს მეტალურგიული საწარმოებისათვის. 1933 წელს თბილისში ამუშავდა ქარხანა „ცენტროლიტი", რომელიც კიროვის სახელობის ჩარხსაშენ ქარხანას ლითონმჭრელი ჩარხების სადგარებს უმზადებდა. ასე ვითარდებოდა ქართული მეტალურგია. მაგრამ ყველაზე დიდი ნაბიჯი გადაიდგა ცოტა მოგვიანებით, როცა საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას.

ომამდელ ხუთწლედებში მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა მთელს ამიერკავკასიასა და საქართველოში. შემდგომი მძლავრი ზრდის აუცილებელ პირობად იქცა შავი მეტალურგიის დიდი კერის შექმნა. ქარხნის ასაშენებელი ადგილის შერჩევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საწარმოს სიახლოვეს ნედლეულისა და სათბობის ბაზებთან, აგრეთვე მთავარ მომხმარებელ რაიონთან. საკითხის მრავალგზის განხილვის შემდეგ არჩევანი შეჩერდა თბილისიდან 27 კილომეტრით დაშორებულ ველზე, რუსთავზე. აქ შედარებით ახლოსაა დაშქესანის რკინის მადანი, ტყვარჩელტყიბულის ქვანახშირის კონცენტრატი, ჰიდროენერგორესურსები. პროდუქციის მთავარ მომხმარებლად ნავარაუდევი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკები, პირველ რიგში — აზერბაიჯანი.

და აი, 1944 წლის გაზაფხულზე მშენებელთა ლაშქარმა ერთბაშად შეარყია გადაბუგული ველის საუკუნოვანი მყუდროება. წინათ აქ ბოსტან-ქალაქი ყოფილა. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი აღნიშნავდა: „კვალად იალღუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი". არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ბოსტან-ქალაქის არსებობა დაახლოებით VII საუკუნიდან იწყება; მაგრამ თბილისზე წამოსულ მტრის ურდოებს პირველი იერიში ხშირად რუსთავზე მიჰქონდათ და არბევდნენ მას. მონღოლების შემოსევის შემდეგ რუსთავისაგან ნაქალაქარიღა დარჩა.

მხოლოდ საბჭოთა საქართველოში გახდა შესაძლებელი ბოსტან-ქალაქის დიდი აღორძინება. საწარმოს მშენებლობის პროექტი შედგა მოსკოვში, მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტში. შეიქმნა სამშენებლო ორგანიზაცია „ამიერკავკასიის მეტალურგმშენი", რომელშიც მრავალი საქართველო გაერთიანდა. ქართველების მხარდამხარ პირველ მშენებელთა შორის იყვნენ ჩვენი სამშობლოს მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. შეგობრული დახმარება არ დაიშურეს რუსეთის, უკრაინისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა. სათანადო კვალიფიკაციის მისაღებად მოძმე რესპუბლიკების მეტალურგიულ ქარხნებში საქართველოდან გაიგზავნა ხუთი ათასი ახალგაზრდა. ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეფობა აიღო მშენებლობაზე. კომკავშირული საგზურით რუსთავის ობიექტებისაკენ დაიძრა ქალიშვილებისა და ჭაბუკების დიდი ლაშქარი. რუსთავი დამკვრელ ობიექტად იქცა. პირველ ექვს თვეს შესრულდა 150 000 კუბმეტრი მიწის, 7160 კუბმეტრი ბეტონის, 1265 კუბმეტრი რკინაბეტონის სამუშაოები, საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებე-

ლი ბინები. მალე აშენდა სკოლაც 300 მოსწავლისათვის.

მშენებლებმა პირველი დიდი გამარჯვება იზეიმეს 1949 წლის იანვარში, როცა მწყობრში ჩადგა თბოელექტროსადგურის პირველი რიგი. განსაკუთრებული ენერგიით მიმდინარეობდა მარტენის საამქროს მშენებლობა. 1950 წლის 27 აპრილს პირველი პროდუქცია გამოუშვა მარტენის № 1 ღუმელმა, ფოლადის პირველი ნადნობის საპატიო ცვლაში იდგნენ შემდეგში სახელგანთქმული მეფოლადეები გ. სიგუა და ი. მეტრეველი. რამდენიმე თვის შემდეგ ამოქმედდა ბლუმინგის კომპლექსი. 1953 წელს ამუშავდა მილსაგლინავი დგანი „400“, ხოლო მომდევნო წელს ნაწილობრივ საექსპლოატაციოდ გადაეცა საბრძმედე საამქრო. ამით ერთგვარად დასრულდა ქარხნის მეტალურგიული ციკლი.

შრომის მოწინავე მეთოდების, ტექნიკური სიახლეების დანერგვის შედეგად რუსთაველმა მეტალურგებმა მრავალ შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს. სრული ძალით ამუშავდა საამქროები, გადიდდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, გაუმჯობესდა მისი ხარისხი. შავი მეტალურგიის ხვედრითი წონა თანდათან გაიზარდა საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციაში და ეს, ბუნებრივია, უპირატესად რუსთავის მეტალურგთა დამსახურებაა.

1955 წელს საქართველოში ამზადებენ 436.000 ტონა თუჯს, 582.000 ტონა ფოლადს, 578.000 ტონა შავი ლითონის ნაგლინს, 162.000 ტონა ფოლადის მილებს. 1962 წელს კი გამოუშვეს 787.000 ტონა თუჯი, 1.246.000 ტონა ფოლადი, 944.000 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 372.000 ტონა ფოლადის მილები.

კიდევ უფრო გაიზარდა რუსთავის ქარხნის წარმადობა მომდევნო წლებში. დიდი პერსპექტივებია დასახული ქართველ მეტალურგთა წინაშე ახალი ხუთწლიანი გეგმით. წარმატებას კი განაპირობებს საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივის თავდადებული შრომა.

რუსთაველი მეტალურგები წარმოებაში ფართოდ ნერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, შრომატევადი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას და ავტომატიზაციას. საკმარისია ითქვას, რომ მთელ მსოფლიოში პირველად მათ განახორციელეს ყველაზე მძლავრი მილსაგლინავი დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია.

მილსაგლინავ საამქროში, უნაკერო ფოლადის მილების დამზადების მთელ ტექნოლოგიურ ნაკადზე, რომლის სიგრძე ათას სამოც მეტრს უდრის და შედგება 170 მექანიზმისაგან, 2,2 ათასი ელექტრული და პნევმატური ამძრავისაგან, განხორციელდა სამუშაო პროცესის სრული მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამ სიახლის დანერგვამ გააიოლა მუშაობის პირობები, სრულიად გამორიცხა ხელით სამუშაოები, საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ინჟინერთა კოლექტივმა სოლომონ შარაძენიძის, ნიკოლოზ გომელაურის, დიმიტრი შალაგინის, პავლე წერეთლის, გურგენ გევორქიანის, ნიკოლოზ ანდრიუხინის, კონსტანტინე გრუშეცკის, ირაკლი ჟორდანიას, სერგი მალიშევის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია რთული ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად. შექმნეს მთელი რიგი ახალი მექანიზმები. გაათანადროულეს მრავალი კვანძი. ყოველივე ამან შემოქმედებით კოლექტივს საშუალება მისცა განეხორციელებინა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ისეთი შრომატევადი ოპერაციებისა, როგორიცაა ლითონის საწყობში ვაგონებით მოტანილი მილნამზადის გაცლა და დაწყობა, მისი მიწოდება აგრეგატებში და ა. შ. შემუშავდა მექანიზმებისა და აგრეგატების ავტომატური მართვის მეტად ორიგინალური სქემა, რომელიც გამორიცხავს ხელით შრომას.

ამრიგად, აგრეგატ „400“-ზე ფოლადის მილების გლინვის მთელი ნაკადი წარმოადგენს უწყვეტ ტექნოლოგიურ ხაზს, მისი ყველა ძირითადი და დამხმარე ოპერაცია კომპლექსურად ავტომატიზებულია. რუსთაველ მეტალურგთა ეს დიდი მიღწევა საქვეყნოდ გახდა ცნობილი — ინჟინერთა ზემოხსენებულ კოლექტივს ლენინური პრემია მიენიჭა.

ძიება კვლავ გრძელდება. ამაზე მეტყველებს მეტალურგიული ქარხნის ინჟინერთა და ტექნიკოსთა ახლახან დანერგილი სიახლე — ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური ტიპის პირველი საბჭოთა სამრეწველო დანადგარის შექმნა. ამ სიახლის განხორციელებისათვის ავტორთა კოლექტივი წარდგენილია 1967 წლის სახელმწიფო პრემიაზე.

რუსთავში დიდი ქიმიის უმნიშვნელოვანესი ობიექტებიც ააგეს. გაიზარდა და დამშვენდა ქალაქი. აქაური მშრომელები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ადგილობრივი ახალგაზრდების თაოსნობას — „გადავაქციოთ რუსთავი კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად“. ყველგან შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული.

რუსთავს დიდი მეგობრობა აკავშირებს ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქთან, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენი მეტალურგიული გიგანტი საზღვარგარეთის ათობით სახელმწიფოს აწვდის თავის პროდუქციას.

რუსთაველი სპეციალისტები საზღვარგარეთის ხშირი სტუმრები არიან, გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს, ეცნობიან საინტერესო და საჭირო სიახლეებს. ბჰილაის (ინდოეთი) მეტალურგიული ქარხნის აგებაში სხვა საბჭოთა მშენებლებთან და ინჟინრებთან ერთად რუსთავის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ.

რუსთავის ქარხანაში იყვნენ ჩეხოსლოვაკელი, რუმინელი, უნგრელი, ინდონეზიელი და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მეგობრები; აქ მათ გაიარეს საწარმოო პრაქტიკა, გაეცვნენ მოწინავე გამოცდილებას.

...უფრო მომხიბლავი და საინტერესო იქნება ინდუსტრიული გიგანტის ხვალინდელი დღე, აღორძინებული ქართული მეტალურგია მეტ სიმაღლეებს მიწვდება.

„გამოვადნოთ მეტი და მაღალხარისხოვანი შავი ლითონი — ჩვენი ფასდაუდებელი სიმდიდრე!“ — ასეთია სახელოვანი მეტალურგების დევიზი.

**შიო ლარცულიანი.**

მხატვარი **ნონა გვაჯაია.**



რევაზ ჯაფარიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯიმარაის ტუსაღები

მოთხრობა

ნაშუადღევს ფეხი თოვლზე შევდგით. ველარც კი წარმოიდგენდი, თუ ბარში ცხელი აგვისტო დარჩა. თოვლი მოფარებულ ადგილებში უფრო გვხვდებოდა და ქვეშ ყველგან ყინულივით ცივი და ანკარა წყარო მოწკანწკარებდა. მდინარემ თვალდათვალ იწყო დაპატარავება. ციხე-კოშკს მიმგვანებული შიშველი მწვერვალი უკვე აღარ ჩანდა. ფანტასტიკურ სვეტებად აღმართული და საკვირველი სილამაზის თაღებად გადმოხრილი რუხი კლდე ფარავდა. ცხენებმა ნაბიჯს მოუკლეს. ფეხი უფრო ხშირად და ხშირად უსხლტებოდათ წვეტიან ქვებზე. გზა აღარ იყო. მეტი რაღა გაეწყობოდა — ცხენების საპალნე ზურგზე უნდა აგვეკიდა. თურმე როგორ გვიადვილებდნენ გზის სიძნელეს მთის ციცაბო ბილიკებზე სიარულს ნაჩვევი ტანმორჩილა ცხენები!

ახალთ-ახალი საველე რაცია მაშველი ჯგუფის სამმა ბიჭმა წაიღო. რაცია მძიმე იყო და თავიანთი ბარგის გარდა რაიმე სხვა ტვირთის წაღება „რადისტებს“ აღარ ევალებოდათ.

ციცინო და კიდევ სამი გოგო, მეათეკლასელები, რატომღაც იმათ გაჰყვნენ. ახსნა უთუოდ გამიჭირდება, რატომ, მაგრამ ეს ნამდვილად ასე ჯობდა. არა მგონია, ციცო რასმე მიმხვდარიყოს და ამის გამო მოენდომებინოს დაწინაურება.

ცხენები მორენაზე დავტოვეთ. მათ დასაფრთხობად გერამ ქვა აიღო და ქვემოთ გადაისროლა, იქნებ უკან გაბრუნება მოიგონონო.

— ნუ ესვრი, თვითონ წავლენ! — შენიშნა ძია შიომ, — ნეტა აქამდე არ ამოგვეყვანა. ქვა-ღორღიან ადგილზე სულ ადვილად მოიტეხს ცხენი ფეხს. პატრონიც ცოდოა და ცხენიც.

— თქვენ მაშინ უყურეთ, თუ ახლავე შინ მოკურცხლეს და არ მოგვიცადეს, — წამოიძახა გერას კვალდაკვალ მომავალმა თენგიზმა, — ბარგი აქედანაც ხომ გვექნება წასაღები!

— მოიცდიან. კალთაზე კარგი საძოვარია. ვერ ხედავ, როგორ ხასხასებს ბალახი?

— ღამ-ღამობით ნადირი თუ არის საშიში?

— ორსა და მეტ ცხენს ნადირი ვერ მიეკარება.

— ვაი, როგორ?

— თავებს ერთმანეთს მიადებენ და წრეს შეკრავენ. ვერასგზით ვერ მიუვა ნადირი. ვინ იცის, რამდენი დამშეული დათვი და თვით მგელიც კი გაწბილებულა ასე.

— ფოცხვერი?

— ფოცხვერი უფრო საშიშია. ბოლოს მაინც ცხენები ჯობნიან. ისე ჩაულილავებენ გვერდებს, შენი მოწონებული!

— დათვები სად იმალებიან ნეტა ახლა? — სულ უკანიდან მოაწვდინა ხმა ვაჟამ.

— ღრანტეებში. აქ ბევრი გამოქვაბული და ნაპრალია.

— თუ გადმოგვიხტა...

— გეშინია?

— თქვენ გაგეხარდებათ?

— აი, შე მხდალო, შენ! ბევრ ხალხს არ ერჩის დათვი. თუ მოასწრო, უჩუმრად გაიპარება.

— მარტო თუ მოგიხელა?

— მაშინ მოერიდე!

ძია შიოს ამ სიტყვების შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ, როგორ ხრაშუნებდა ფეხქვეშ თოვლი. სანამ მოსახერხებელი იყო, თოვლს ვერიდებოდით, მაგრამ ზემოთ და ზემოთ ნიაღვრის ნაგზაური ისე დავიწროვდა, გვერდის აქცევა უკვე შეუძლებელი გახდა. ახლა ყოველ წამს წკრიალებდა წერაყინი. ტარზე წამოგებული ფოლადის წვეტი ხანდახან თუ მოხვდებოდა ქვას. ეს იმას მოასწავებდა, რომ ამ ადგილას თოვლი ღრმა იყო და გავლა თავისუფლად შეიძლებოდა.

გერა მასწავლებელი შეჩერდა, თოვლში ღრმად ჩარჭობილ წერაყინს მუხლით მიეყრდნო და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ხედავთ, ბიჭებო?

მთის კლდოვან კალთას ყველამ ერთად ავხედეთ.

ლურჯ ცამდე აზიდულ ჯიმარაის, პირქუშსა და იდუმალებით მოცულს, თავზე მოგრაგნილი რუხი ჩაბალახი მოეხადა და სააშკარაოზე გამოსულიყო. მარადიული თოვლით დაფარული ორთავა მწვერვალი ჩამავალი მზის მოწითალო შუქს გაენათებინა. ციცაბო კალთებზე მუქ-ლურჯი ბინდი იდო. ნუთუ უკვე ღამდებოდა? თხელი ღრუბლები საკვირველი სისწრაფით დაძრულიყვნენ მწვერვალისაკენ. შორიდან მაცქერალს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს არა ღრუბლებს, თვით მკაცრი სიმშვენიერით შემკულ ჯიმარაის აედგა ფეხი და სადღაც შორს მიიჩქაროდა. თავბრუსხვევამ შემაბარბაცა და წამით თვალები დავხუჭე. როდესაც გამოვახილე, თხელი ღრუბლები ისევ დიდი სისწრაფით გარბოდნენ ჩრდილოეთისაკენ, ხოლო ტანწერწეტა ჯიმარაი, როგორც ქართულ კაბაში გამოწყობილი მოცეკვავე ქალიშვილი, ფეხისწვერებზე შემდგარიყო და გოგმან-გოგმანით გვიახლოვდებოდა.

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 7.

## 4.

ღამით ბეჭის ტკივილმა გამომაღვიძა. კარავში იმისთანა სინათლე იყო, უმალვე წამოვჯექი და თვალები მოვიფშვნიტე. ბეჭი მართლა მტკიოდა. კიდევ ადვილად გადავურჩი გუშინ კოტე ვეშაპელს. მადლობელი უნდა ვყოფილიყავი, ალბათ, სულ რომ არ მომტეხა. უეცრად ამოვარდნილ ქარს შემოსასვლელი კარი მოეფლითა და კალთაზე ატლაშუნებდა; სწორედ კარის ასწვრივ, მოპირდაპირე ლურჯი მთის დაკბილულ თხემზე, უზარმაზარი ბადრი მთვარე შემომჯდარიყო და ყველაფერს დღესავით ანათებდა. ბეჭმა ისევ მწვავედ მიპწკინა. უნებლიე კვნესა აღმომხდა. მეზობელ საძილე ტომრიდან, თითქოს ამ ხმის გაგონებას უცდიდაო, ვიღაცამ თავი წამოჰყო და ჩურჩულით იკითხა:

— რომელი საათია?

გერა ხელმძღვანელის ხმა ვიცანი. ამ ღამით ის ორჯერ თუ სამჯერ წამოვარდა. სულ ეშინოდა, გასვლის დრო არ გამომეპაროსო.

— ორს თხუთმეტი წუთი უკლია, გერა მასწავლებელო.

— ორი საათის შემდეგ ავდგებით, — ხმას დაუწია გერამ და ტომარაში ჩაძვრა, — სრულ ოთხზე გავდივართ.

— ხედავთ, რამოდენა მთვარეა?

— ვინ ლაპარაკობს, დაიძინეთ! — გაისმა კარვის ბნელ კუთხეში.

გერა წამოჯდა და მკლავი მოიჩრდილა, რადგან მთის დაკბილულ თხემზე გადმომდგარი ბადრი მთვარე პირდაპირ თვალებში უყურებდა.

— არ გამიგია, როდის ამოვიდა, — ჩურჩულით თქვა მან, თვალები მოჭუტა და ისევ დაწვა, — ეს ცუდი ამბავია, რომ ქარი ამოვარდნილა. ვაითუ ღრუბლები გადმორეკოს!

— ჩადგება გათენებამდე, — ვანუგეშე მე.

ორთავ გავიტრუნეთ. ქარი კვლავინდებურად ატლაშუნებდა კარვის კალთას და კარავში ჩრდილებს ათამაშებდა. მე ხან თვალისმომჭრელი შუქი მადგა თავზე, ხან კი ჩრდილი. მთვარე თითქოს თვალს მიპაჭუნებდა და კუკუმალობიას მეთამაშებოდა. ალბათ, უეცრად ჩამეძინა. როდესაც გამოვიღვიძე, თითქმის ყველა საძილე ტომარა გატანილი იყო და გარედან ბიჭების ხალისიანი ყაყანი შემოდიოდა. კარავში უკვე სიბნელეს დაესადგურებინა. სამაგიეროდ, მთის ორწოხებში გარიჟრაჟი იბადებოდა.

გერას შიში უსაფუძვლო როდი გამოდგა. ცის დასალიერი შავ-მურა ღრუბლებს დაეფარა. ძვალ-რბილის გამთოშავი ცივი ქარი სწორედ იქიდან ქროდა და, ადრე იქნებოდა თუ გვიან, საავდრო ღრუბლებს მთელ ცაზე მოაბნევდა. წინა საღამოს, სწორედ ვახშმის წინ, რადისტები ყაზბეგს დაუკავშირდნენ. იქ მთელი დღე მზიანი დარი ყოფილიყო. მეტეოროლოგიური სადგური სადღეისოდაც კარგ ამინდს წინასწარმეტყველებდა.

ძია შიო, რომელსაც, ვინ მოსთვლის, რამდენ ასეთ და ბევრად უფრო რთულ ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა, ამინდსა და უამინდობას ტანით გრძნობდა, მაგრამ სადგურისადმი აშკარა უნდობლობის გამოცხადებაც უჭირდა და უქმად დგომაც. ხელსაწყოები, ასეა თუ ისე, მაინც უფრო სანდონი არიან, ვიდრე კაცის ალღო...

მოიერიშე ჯგუფის წევრები უკვე გავემზადეთ. საჭურველი ყველამ მოირგო და უკანასკნელ ბრძანებასღა ელოდებოდა. ამასობაში ოთხმა საათმა მოატანა. ხუთიც დაიწყო. ჯგუფის წევრები ისევ მთავარი კარვის გარშემო ვწრიალებდით და ყომრალი ღრუბლებით ჩახერგილი ცის დასალიერს გავყურებდით.

ძია შიომ რაღაც გადაწყვიტა, გერა ხელმძღვანელს ანიშნა, წამომყევიო და მასთან ერთად კარავში შევიდა. ყაზბეგის გამოძახებას და რჩევის კითხვას თუ აპირებდნენ. მაგრამ ასე ადრე? გერა, ეტყობოდა, თვითონ მიუჯდა აპარატს, კარავში მხოლოდ მისი წვიტინა ხმა ისმოდა. სადგურმა, როგორც იქნა, უპასუხა და მიყურადებულებმა შვებით ამოვისუნთქეთ. გერა დიდხანს ეწვალა, ვიდრე ძილგამოყოლილ მორიგეს გულისხმაში ჩააგდებდა. საბედნიეროდ, მორიგემ მალე გაართვა თავი ძილს და იქ უფროსებიც დააღვიძა — ჯიმარაის ძირიდან გვეძახიანო.

ცნობები იგივე იყო. ხელსაწყოები კვლავ დარს წინასწარმეტყველებდნენ, მხოლოდ ეგ არის, სუსტი ქარი დაბინდებამდე არ ჩადგებაო.

— მორჩა, ბიჭებო, წავიდეთ! — ერთხმად წამოვიძახეთ გარეთ მყოფებმა და კარვის კართან შევჯგუფდით, — ვაშააა...

კარვები დაიცალა. წამსვლელებიც და დამრჩომებიც გარეთ გამოეფინენ. მარჯვნივ, საითაც უტეხი თოვლით დაფარულ დამრეც კალთაზე გზა გვედო, ერთიმეორეზე წაბმული მთებისა და გორაკების ხერხისმაგვარი ზურგი მოჩანდა. შორს და შორს ხერხის კბილები თანდათან მაღლდებოდა, მახვილდებოდა და, ცამდე აჭრილი, დილის ბინდბუნდში იკარგებოდა. ეს კავკასიის მთავარი ქედის ხერხემალი იყო. სანამ თვით ქედზე ავიდოდით, ჩვენ ჯერ კალთა-კალთა უნდა გვევლო, შემდეგ, დაახლოებით დღის პირველ საათზე, თხემს მივაღწევდით და კვლავ მაღლა და მაღლა გავაგრძელებდით გზას.

კარავიდან სულ ბოლოს ძია შიო გამოვიდა და გერა ხელმძღვანელთან ერთად სათითაოდ ჩამოგვიარა. ჩაცმულობასა და აღჭურვილობას ამოწმებდა. მაშველი ჯგუფის ბიჭები, რომელთაც მოესწროთ და ამასობაში თბილად ჩაეცვათ, კარვის წინ იდგნენ და შურის თვალით გვიყურებდნენ. გოგოების კარვის წინაც ირეოდა ხალხი. მალულად ციცოს დავუწყე ძებნა. მალე ის ბიჭებში დავინახე. ნაქსოვი ქუდი ყურებზე ჩამოეწია და ასეთსავე ნაქსოვ შარვალსა და სვიტრში გამოწყობილი გაცილებით უფრო მაღალი მომეჩვენა, ვიდრე ნამდვილად იყო. ხელს გვიქნევდა. დავაკვირდი. არა, არავის არ გვიყურებდა, ყველას ერთად გვიქნევდა ხელს...

წამიერი გარინდებიდან გერას გაგრძელებულმა შეძახილმა გამომიყვანა და, თუმცა არც კი გამიგონია, რას გვეუბნებოდა, თხილამურების ჯოხებს ღონივრად დავაწექი და ადგილს მოვწყდი. ყურებში სუსხიანი პირქარი ზუზუნებდა. მარცხნისაკენ ცერად დაქანებულ კალთაზე დიდხანს ვეშვებოდით. შემდეგ ათი თუ თხუთმეტი წუთი აღმართ-აღმართ ვიარეთ და ისევ დავცურდით. ამჯერად სიჩქარე გაცილებით ნაკლები იყო. ნამბული თოვლი თხილამურის ქვეშ იფშვნებოდა და სიჩქარის მოსამატებლად წამდაუწუმ ჯოხებს ვიშველიებდით.

ღრუბელი, გუშინ რომ თრუსოს ხეობიდან ვხედავდით, ამჯერად ქვეშ მოგვექცა და ახლომახლო წვრილ-წვრილ ხეობებსა და ხევხუვებს სარქველივით გადაეფარა. ღრუბლის უძრავი ფენის ზემოთ თოვლით შეჭირხლული ლურჯი ჭიუხები ამოზიდულიყვნენ. დროდადრო სიმწვანეც გაიელვებდა. ხანდახან ღრუბელს ვიწრო ნაპრალი გაუჩნდებოდა და შორს, ძალიან შორს, სარკესავით ალაპლაპებულ მდინარეს ან ზღვასავით მობიბინე იალაღს დავინახავდით.

მთავარი ქედის ხერხისმაგვარი თხემი ცხვირწინ იდო. ასიოდე ნაბიჯს გაივლიდი და ხელით მისწვდებოდი. მაგრამ ას ნაბიჯს კიდევ ორასი ნაბიჯი მიჰყვა, ორასს კიდევ ორი იმდენი. ლაჟვარდ ცაში აზიდული კლდეების ჯაჭვი კი მაინც იმავე მანძილით იყო დაშორებული და ზემოდან მაცდურად დაგვყურებდა...

ეს არავის გაჰკვირვებია.

ადგილს, საითაც მიგეჩქარება, თუ გსურს დროით მიხვიდე და ძალ-ღონეც ნაკლებ დაგეხარჯოს, როგორმე თვალი უნდა აარიდო და მხოლოდ ცხვირწინ იყურო. გზა შეუმჩნევლად შემოგადნება. თუ სულსწრაფობას არ გამოიჩენ, დანიშნულ ადგილზე სწორედ მაშინ მიხვალ, როცა თავი ჯერ კიდევ შორს

გგონია. გაუძლებ კი? მწვერვალს კიდევაც რომ არ შეხედო და მხოლოდ ცხვირწინ იყურო, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ალღოთი მაინც გრძნობ, რა გზა გაიარე და კიდევ რამდენი დაგრჩა გასავლელი. ეს კი გულს გისივებს და მოთმინება თანდათან გეკარგება. საქმეც ეგ არის: არ უნდა დაგეკარგოს მოთმინება. თუ სულმა წაგძლია და ყველაფერი ერთბაშად მოინდომე, მაშინ რაღა მთამსვლელი იქნები!

ბანაკიდან გამოსვლის ერთი საათის შემდეგ კალთა დამთავრდა. კოლონის თავში მიმავალი თენგიზი შეჩერდა და უკან მოიხედა — ახლა საითო. ცოტა უფრო წინ თოვლის ნაჟურით ჩამოღვენთილი რუხი კლდე მოჩანდა. კალთა აქ თითქოს ხმლის ერთი მოქნევით ჩამოეთალა ვიღაც გოლიათის მარჯვენას და მთის კლდოვანი წვენები გამოეჩინა. ციცაბო კლდე უფსკრულში შვეულად ეშვებოდა და იქ ღრუბლის ბულულებში იძირებოდა.

თხილამურები მოვიხსენით და საიმედოდ შევკონეთ. მათი სამსახური ზემოთ არაერთხელ დაგვჭირდებოდა. ამჯერად გზა, თუ კიბის უსწორმასწორო საფეხურებად ცისკენ წასულ კლდესაც გზა ერქვა, ფეხით უნდა განგვეგრძო.

— მარცხნივ დაეძალეთ! მზიანი მხარე საფრთხილოა, თოვლი დნება და ვაითუ ზვავი მოწყდეს! — დინჯად, თითქოს სულ უბრალო რამეს ამბობსო, გამოაცხადა ძია შიომ.

ამ სიტყვებზე მან თოკის ერთი ბოლო ქამარში ჩაიბა და გახეთქილ ლოდს წერაყინის წვერით მოეჭიდა. თოვლზე დაგდებული თოკის გორგალი, რომლის მეორე ბოლო გერას ეკავა ხელში, ნელ-ნელა იშლებოდა და ლოდებზე აბობღებულ ძია შიოს მისდევდა. კლდე ჯერჯერობით იოლი ასასვლელი იყო. ძია შიო თანაბარი ნაბიჯით მიიწევდა და უკან არც კი იხედებოდა. პატარა შვერილზე წუთით შედგა და მზერა იმ მხარეს მიაპყრო, საითაც მაშველი ჯგუფის ბანაკი დავტოვეთ. ნეტავი თუ ვინმე გვხედავდა ქვედა ბანაკიდან? უთუოდ გვხედავდნენ. ღრუბელს ხომ ჯერ აქამდე არ ამოეღწია და ცა ისევ მოწმენდილი იყო...

ძია შიოს თოკი ოთხმა ბიჭმა ჩავიბით და თოვლში გატანილ კვალს აუჩქარებლივ მივყევით. აბეზარი ქვენა ქარი წეღანდებური გაშმაგებით უბერავდა და მხარზე გადებულ თხილამურებს ხელიდან გვაგლეჯდა. ძია შიო კლდის შვერილზე იდგა და წინ აღარ მიდიოდა. ჩვენც შევჩერდით.

— რა მოხდა, ბატონო შიო? — იკითხა ყველას მაგივრად გერა ხელმძღვანელმა.

— როგორ ატყობთ, ღრუბელი ზემოთ მოიწევს?

— მგონი კი.

— ვიაროთ თუ დავბრუნდეთ უკან? არ მომწონს, ბიჭო, ეს ამინდი, მე მგონია, რაღაცა ემლებათ ყაზბეგში. ფიცი მჭამს და ბოლო მაკვირვებსო. ზევით და ზევით ქარი ძლიერდება. ღრუბელიც კვალდაკვალ მოგვდევს. დააკვირდით: საავდრო ღრუბელია. ვაითუ ჩამოთოვოს ან ზვავმა მოგვიჭრას გზა. რაღას შვრები მერე! ჰა, რას იტყვით, ვაჟკაცებო?

— ვიაროთ! — წარბშეუხრელად მივუგეთ ჩვენ, — აქედან უკან დაბრუნება გაგონილა?

მიხვედრა ძნელი არ იყო: ძია შიო ცალყბად გვეკითხებოდა. ასვლა მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა. ასე რომ არა, ბანაკიდან ფეხს მოიცვლიდა? ახლა, რაკი წამოვიდა და ექსპედიციის გაძღოლა თავს იდო, შუაგზიდან უკან დააბრუნებდი? თუნდაც არავინ წაჰყოლოდა, მარტო ავიდოდა და ხვალ დილას ან ამაღამვე წინა ამსვლელების მიერ ჯიმარაის მწვერვალზე დატოვებულ წერილს ჩამოიტანდა.

— თქვენ იცით! — პირზე შემშრალი ღიმილით თქვა ჯერ ისევ ეჭვის ტყვეობაში მყოფმა ძია შიომ და კლდეს მიუტრიალდა, — მე შეიძლება გულიდან გადამვარდეს: ბანაკზე თვალი გეჭიროთ. რომელიმე წერტილიდან უთუოდ დავინახავთ.

— კი, ბატონო...

— აბა, მომყევით!

ბანაკი მხოლოდ ცოტა ხნით დავინახეთ ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ. შავი წერტილები ხორბლის მარცვლებივით გაბნეულიყვნენ სპეტაკ თოვლზე. მგონი რაღაცას გვიყვიროდნენ და გვანიშნებდნენ. უკან, ტეხილ ხაზზე განლაგებული ოთხი კარავი მოჩანდა.

— ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდათ! — თქვა ზედმეტი დაძაბულობისაგან თვალებგამოქაჩულმა თენგიზმა და თოვლის ნაჟურით ჩამოღვენთილ შვეულ კლდეს მხრით მიეყუდა.

— მე მგონია, დაგვინახეს და გვანიშნებენ, გხედავთო, — თავისი აზრი გამოთქვა ვაჟამ.

— მანდ რაღაც სხვა ამბავია, — საგონებელში ჩავარდნილი ძია შიო იჭმუხნებოდა და თვალს არ აშორებდა თოვლზე უწესრიგოდ გაბნეულ მარცვლებს, — ერთი პატარა რაცია მისწრება არ იქნებოდა ახლა? აბა, გულდასმით დააკვირდით, იქნებ მიხვდეთ რასმე!

სპეტაკ თოვლზე გაბნეული ხორბლის მარცვლები ერთადგილზე შექუჩდნენ, მერე ისევ გაიშალნენ. ეს ამბავი კიდევ



რამდენიმეჯერ განმეორდა. ნეტავი რის თქმა უნდოდათ ამით?

ფიქრისა და ყოყმანის დრო აღარ იყო. ჩამუქებული ღრუბლის ლაშქარი დინჯად უახლოვდებოდა პაწია ტაფობს, სადაც წინადღეს კარვები გავშალეთ, და სულ მალე იქაურობას დაჰფარავდა.

— ვინმე უნდა გავგზავნოთ ამბის გასაგებად! — მიიღო გადაწყვეტილება ძია შიომ.

მისი ეს სიტყვები სულისა და გულის შემძვრელმა ჭექამ და ქუხილმა დაჰფარა. ყველა შეკრთა. ჩვეულებისამებრ, როგორც ამისთანა დროს დედამიწაზე ხდება ხოლმე, ცას ავხედეთ. ცა მოკრიალებული იყო. თავანზე მზე ანათებდა და ფეხქვეშ თოვლს ადნობდა. ჭექა და ქუხილი მიწის გულიდან მოისმოდა. ელვის იისფერი ხაზებიც იქ იმტვრეოდა.

ვიდრე გაშტერებულნი ღრუბლებს დავცქეროდით, კედელთან სხვა წყვილებიც ამოვიდნენ. გერა ხელმძღვანელმა ბოლოს ამოაღწია და, რა დაინახა — ყველა ქვევით ვიყურებოდით, თვითონაც დაბლობს დაადგა თვალი.

— მგონი, სეტყვა მოვიდა, — სიჩუმე ძია შიომ დაარღვია, — ამისთანა მჭახე გრუხუნი სწორედ სეტყვის წინ იცის. მწვერვალისაკენ უნდა წავიდეთ! — უცებ მტკიცედ თქვა მან, — აქ უკვე საშიშია გაჩერება. ღამის გასათევს მოვძებნით და დილამდე შევეფარებით!

თხილამურები კლდეზე მიაყუდა და ხალთა მოიხსნა. თენგიზი ჩაცუცქდა. რკინის პალოების ამოლაგება დაიწყო. მე ერთი კაცით უკან დამწიეს. ჩემს ადგილზე მერაბი გადმოვიდა. პიტალო კლდეებზე ის მართლაც ხვლიკივით დაცოცავდა და არცა მწყენია, წინ რომ დამიყენეს. მერაბს და თენგიზს თოკი კლდის იმ ადგილამდე უნდა აეტანათ, საიდანაც ყინვის ვება ლოლუა ეშვებოდა და წყალი წვეთავდა. შემდეგ, როცა ისინი იქ მომაგრდებოდნენ, დანარჩენებიც დავიწყებდით ასვლას.

ძია შიო მკერდით კლდეს აეკრა და მარცხნივ გაცოცდა. იქნებ ასასვლელად მარჯვე ადგილი კიდევ აღმოჩნდეს სადმეო. სულ მალე ხელცარიელი მობრუნდა უკან. შვეულ კლდეზე მერაბი ფრთხილად და ანგარიშიანად მიცოცავდა. დროდადრო მკვეთრად მოხაზულ მაგარ ნიკაპს მესამე ხელივით ხმარობდა და, ვიდრე თითები ლოდსა და ლოდს შორის თუნდ ფრჩხილის მოსაკიდებელ ახალ ნაპრალს ნერვიულად ეძებდნენ, ძირა ლოდზე ნიკაპით ეკიდა.

— ნუ იჩქარებ, დრო ბევრი გვაქვს! — გულის გაკეთების მიზნით ასძახა ძია შიომ და მერაბის კვალდაკვალ კედელზე მიმავალ თენგიზს თოვლში თრევისაგან დასველებული და გალიპული თოკი აუმჩატა.

ნაპრალებში მხოლოდ სამი პალო ჩანდა. სამივეზე თოკი იყო მიბმული. ახლადჩამაგრებულ პალოზე მერაბი თოკს ანასკვავდა და შემდეგ ფრთხილად, ნესტიან კლდეზე მთელი სხეულით აკრული, მიჰყვებოდა გრანიტის ირიბ ფენას, რომელიც საკმაოდ სქელი იყო და ზემოთ, კუთხეში წყდებოდა. მომდევნო ფენაზე გადაბობღების წინ ის კიდევ ამაგრებდა ახალ პალოს და იქ თენგიზს უცდიდა. ერთმანეთს სამჯერ თუ ოთხჯერ შეენაცვლნენ და პატარა შვერილზე მოიკიდეს ფეხი.

— მერაბის ასვლა აქამდე არ მიყურებია, — უცნაურად შეცვლილი ხმით წამჩურჩულა კოტე ვეშაპელმა. მოვიხედე. კოტეს კაციშვილის ფერი აღარ ედო სახეზე. ყოველნაირად ეტყობოდა, რომ გაოცებული იყო მერაბის ოსტატობით, თენგიზი კი განზრახ არაფერს ამბობდა.

— გეშინია? — ფრთხილად ვკითხე მე, — ვაჟკაცურად თქვი!

კოტემ თავი გააქნია და მკლავში ჩამჭიდა ხელი. შუბლზე ოფლის მსხვილ წვეთებს გამოეჟონა. თვალებში შიში ჩასდგომოდა.

ამ დროს ერთხელ კიდევ მოისმა ყრუ გრუხუნი და კლდეზე ჩაქუჩის ნაწყვეტ-ნაწყვეტი კაკუნი შეწყდა. ქარაფზე თოკით გადმოკიდებული მერაბი და თენგიზიც ჩვენებრ დაბლობისაკენ იყურებოდნენ. იქ კიდევ უფრო ამღვრეულიყო და გამუქებულიყო ღრუბელი. სადღაც ყურისწამღებად დაიჭექა, ორჯერ ზედიზედ გაიელვა და შემდეგ, მგონი, მეხი გავარდა. საკვირველი სანახავი იყო ეს ზემოდან. ჩვენ თითქოს დედამიწის მახლობელ სივრცეში ვიყავით გასული და იქიდან ვაკვირდებოდით, თუ რა ხდებოდა მშობლიურ დედამიწაზე.

კოტეს წამიერად მიავიწყდა შვეულ კლდეზე ასვლის წინ ატეხილი გულისკანკალი და თვალებგაფართოებული დაჰყურებდა ჭექა-ქუხილით, კოკისპირული წვიმითა და სეტყვით აბობოქრებულ უფსკრულს. ამგვარი რამ ჯერ არავის გვენახა. ერთი პაწია რადიოგადამცემი ახლა მართლა მისწრება იყო. საშინელი ავდრის შემყურე დამხმარე ჯგუფი, ალბათ, უკვე შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო. აბა, როგორ წარმოიდგენდნენ, თუ ამ მეორეთმოსვლას ჩვენ ღრუბლებსზემოდან დავყურებდით და ჯერ ფეხიც არ დაგვსველებოდა.

უცებ ციცო გამახსენდა და გული შემეკუმშა. რა გუნებაზე იქნებოდა ახლა, როცა მოულოდნელი უბედურების გამო ბანაკში ყველა ენაჩავარდნილია და წვიმის გადაკარებას უცდის, რათა თოვლით დაფარულ ციცაბო ფერდობებსა და კლდეებს ამოჰყვეს მოიერიშე ჯგუფის ნაშთების მოსაძებნად?

ეს რომ თვალნათლივ წარმოვიდგინე, გულზე ისეთი ჯავრი შემომაწვა, აღარ ვიცოდი, რა მეღონა. მზად ვიყავი ამხანაგები დაუყოვნებლივ დამეტოვებინა, მარტოდმარტო ჩამევლო გრძელი გზა, რომელიც ამდენი გასაჭირით ამოვიარეთ და წვიმაში მოხვედრილი ნიბლია ჩიტივით ჟულგახეთქილ ციცოსათვის მამისა და ძმის კარგი ამბავი მეხარებინა.

ბინდმა ისე მოატანა, ბარში გრუხუნი, მეხთატეხა და კოკისპირული წვიმა არ შეწყვეტილა. ნაშუადღევს წვიმითა და სეტყვით დამძიმებული ღრუბელი აფუვდა და ზევით წამოვიდა.

ვაჟამ რაღაც ციფრები გადაამრავლ-გადმოამრავლა და სასწრაფოდ გამოიანგარიშა, თუ ღრუბლები ამავე სიჩქარით განაგრძობდნენ მოახლოებას, როდის ამოაღწევდნენ კლდის იმ ადგილამდე, სადაც ღამის გათევას ვაპირებდით. თუ გამოთვლას რაიმე დაეჯერებოდა, ღრუბლები სწორედ შვერილთან ან ცოტა უფრო ზემოთ წამოგვეწეოდნენ. იქ, საგრძნობლად შეზნექილ გამოქვაბულის მაგვარ ღრმულში, უსათუოდ უნდა შევჩერებულიყავით, რადგან უხილავ კლდის თავს სწორედ ქედის ხერხემლიდან წამოქანებული კალთა ებმოდა. მზიანი დარის შემდეგ, მითუმეტეს თუ წვიმაც დაასხამდა და თოვლს ქვეშიდან წყალს შეუყენებდა, ზვავის მოწყვეტა ყოველ წამს მოსალოდნელი იყო.

ვაჟას გაანგარიშება ზუსტი აღმოჩნდა. მზემ, დღის განმავლობაში თვალისმომჭრელად რომ ანათებდა, გაფერმკრთალება იწყო, თანდათანობით მიილია და მთებში ნაადრევი ბინდი ჩამოწვა. პიტალო კლდის მოპირდაპირე მხარეს ტყვიისფერი ღრუბლები დაზვავდნენ. გრუხუნი და მეხთატეხა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამას ზედ ერთვოდა ადიდებული





მდინარეების გაშმაგებული ღრიალი და ადგილიდან დაძრული ვეება ლოდების ზათქი. კლდეს წვიმის მსხვილი წვეთი მოხვდა, იქვე წვრილ წინწკლებად განიბნა და მაშინვე აორთქლდა, რადგან კლდე ჯერ ისევ თბილი იყო. ერთ წვეთს მეორე და მესამე მოჰყვა. ხეობამ ღრმად ამოისუნთქა და ქარმა კედელს მიგვაკრა.

— იჩქარეთ, ბიჭებო, იჩქარეთ, როგორმე შევასწროთ გამოქვაბულში! — კლდის ძირიდან ამოგვძახა ძია შიომ და თავადაც თოკს მოეჭიდა.

თოკი სველი იყო. ზედ ხელი ცურავდა და ცოცვა ჭირდა. მნის ხევხუვებიდან დაძრული ქარი კლდეს ერთხელ კიდევ გამეტებულად მოასკდა და ამჯერად მსხვილი წვიმის თქეში მოიყოლა. თვალის დახამხამებაში გავილუმპეთ.

— ცოტა კიდევ, მომე ხელი! — ჩამომძახა მერაბმა, კედელზე თითქმის მთელი ტანით გადმოიხარა და ხელი მომაშველა.

ღრმული ღრმად იყო შეჭრილი კლდეში. ქარ-წვიმისაგან მაინც ვერ დაგვიფარა. წვიმა ისევ გვასხამდა და ქარიც დაუბრკოლებლივ გვიბერავდა. მერაბი და თენგიზი, რომლებიც აქ პირველები ამოვიდნენ, ისე იქცეოდნენ, როგორც ნამდვილი მასპინძლები. ღრმულის შესასვლელში, მარჯვნივ და მარცხნივ, ორ-ორი პალო ჩაამაგრეს და ამათ შუა თოკის ორი წვერი გაჭიმეს. მოაჯირისმაგვარი რაღაც გამოვიდა. ბოლოს, თვით ქვაბშიც დატრიალდნენ და წერაყინის წვერით კედლები მოსინჯეს, როგორმე გაფართოება ხომ არ მოხერხდებაო. ძალიან გაგვიკვირდა, როცა ქვაბის უკანა კედელთან ცეცხლის ნანთები ადგილი ვნახეთ. ნაცარი მთლიანად ქარს გამოეხვეტა. თვით კედელი ბოლისაგან იყო შერუჯული. ჩვენზე ადრე ვიღაც სხვას გაეთია აქ ღამე და ქვაბში ცეცხლიც კი ნთებოდა. დილამდე უნდა მოგვეთმინა და დილას, იჭიატებდა თუ არა, ისევ მწვერვალის გზას გავდგომოდით.

მდგომარეობას ის უფრო ართულებდა, რომ წვიმამ, თითქოს მართლა კოკის პირიდან რომ ასხამდა, ულმერთოდ დაგვასველა. აქ დიდი გაჭირვებით მოახერხებდა კაცი ტანზე გამოცვლას, მაგრამ მშრალი ტანისამოსის ჩაცმა რა ჭკუა იყო. თუკი იმავე წუთში ხელახლა დასველდებოდი. სხვა გზა აღარა გვქონდა, მჭიდროდ უნდა დავმსხდარიყავით და ერთმანეთი საკუთარი სხეულის სითბოთი გაგვეთბო. ასეც მოვიქეცით. სიბნელეში ვიღაცამ დრო იკითხა. დროის გაგება ახლა არცთუ ადვილი საქმე იყო. ასანთს ქარი მოკიდებამდე აქრობდა. თენგიზმა საიდანღაც ჯიბის პატარა ფარანი ამოაძვრინა და უთვალავ ნართის ძაფად სივრცეში ჩამოშვებული წვიმის წვეთები გაანათა. სინათლის წამიერ ჩქერს ყველანი აღტაცებული ყიჟინით შევხვდით და უნებლიე ჯიკავ-ჯიკავში თენგიზი კინაღამ ძირს გადავაგდეთ.

ცხრას ოცი წუთი უკლდა. აგვისტოში ათის ნახევარზე ღამდება. მაშ, დაღამებამდე ჯერ კიდევ ორმოცდაათი წუთი იყო დარჩენილი? ბევრს უკვე შუაღამე ეგონა. თავ-თავიანთ საათებს წაეტანენ.

— აანთე, თენგიზ!

— არ არის საჭირო, — სიცივისაგან დაბოხებული ხმით თქვა ძია შიომ, — ცხრას ოცი წუთი უკლია. ხომ ვნახეთ! ფარანი რამეში გაახვიე, თენგიზ, ბატარეია დაგვისველდება და ბნელაში დავრჩებით.

5.

ნაშუაღამევს წვიმამ საგრძნობლად მოიკლო და მალე სულაც გადაიკარა. ქარიც თითქოს ჩადგა. ქვაბის შუბლიდან მაინც უწყვეტ კამარად წვეთავდა წყალი. თვალები ფრთხილად გავახილე, სულ არ გამომელვიძოს-მეთქი და სიხარულის კვნესა აღმომხდა. ცა მოწმენდილი იყო. ზემოთ, ძალიან ზემოთ,

თითქოს წვიმის ანკარა წყალში განბანილი წვრილ-წვრილი ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. სადღაც ჩვენს უკან მგონი მთვარე ანათებდა და კლდის ძირამდე დადაბლებულ საავდრო ღრუბლებს დაკბილული თხემის მუქ ჩრდილსა სცემდა. „დავიძინოთ! — ვუთხარი თავს და გვერდი ფრთხილად ვიცვალე, — აგერ ნახე თუ ამინდი არ გამოვიდეს. აბა, როგორ გეგონა!“

გამთენიის ხანს ვაჟა და კიდევ ორი ბიჭი უკან გაბრუნდნენ. კოტე ვეშაპელი გაბუსული იჯდა. მეგონა, დაბრუნებას მოინდომებდა. კრიჭა სიამაყემ შეუკრა. არავის გაგვაგებინა, თუ გული ბარში დარჩა. ვაჟა და მისი გამყოლი ბიჭები ფეხს ითრევდნენ. ეზარებოდათ უკან დაბრუნება. ძია შიომ ძალაუფლება გამოიყენა. ბიჭებს აგრძნობინა, საქმეს ასე სჭირდება და, თუ ყველასათვის სიკეთე გსურთ, უნდა გატრიალდეთო.

კარგა ხანს ვუყურებდით, როგორ ეშვებოდნენ ბიჭები კედელზე. კლდის ძირას ყელამდე ნამქერში ჩაეფლნენ, მაგრამ ერთმანეთის დახმარებით მალე ამოძვრნენ, თხილამურები მოირგეს, გამოთხოვების ნიშნად ჯოხები დაგვიქნიეს და თვალს მიეფარნენ.

გამოქვაბულში გათენებამდე დავრჩით. ძია შიო გზის გაგრძელებას არა ჩქარობდა. ბოლოს, თოკი ჩაიბა, პალოები მოიმზადა, თენგიზსა და მერაბსაც ანიშნა მომზადებულიყვნენ და გამოქვაბულიდან პირველი გავიდა. კლდეში მთელ საათს ისმოდა ლითონის სოლზე დაცემული ჩაქუჩის კაკუნი. სწორედ მზის ამოსვლისას თოკი კედელს გადაეკიდა და გარედან ყიჟინა შემოგვესმა. ზემოთ გვეპატიჟებოდნენ. გამოქვაბულიდან სათითაოდ გამოვედით და თოკს ავყევით. დამრეც, თითქმის ციცაბო კალთაზე, რომელიც ქედის დახრამულ ხერხემალთანვე იწყებოდა, თოვლის ნასახიც აღარ იყო. წუხანდელ კოკისპირულ წვიმას ყველაფერი პირწმინდად გადაერეცხა და უფსკრულში თან ჩაეტანა. ფეხი ცურავდა. მუხლის მოსამაგრებლად წრიაპები ამოვისხით და კვლავ დავიძარით. თენგიზის ნაცვლად სულ წინ ახლა ძია შიო მიდიოდა, თანაბარ ნაბიჯებს ადგამდა და ერთთავად ცისკენ იყურებოდა.

ქედის ხერხემლის მისადგომთან გზა ისევ გრანიტის ხორკლიანმა კლდემ გადაგვიღობა. ათიოდე წუთით შევისვენეთ. ძია შიომ დურბინდი მოიმარჯვა და დილის თქორში გახვეულ თოვლიან ზეგანს დაუმიზნა. მაშველი ჯგუფის ბანაკი იმ ზეგანის სამხრეთ კალთაზე უნდა ყოფილიყო. აქეთა მხრიდან კალთას თვით ზეგანის ზურგი ეფარებოდა. ძია შიოს დურბინდი გერა ხელმძღვანელმა ჩამოართვა და ისიც მონდომებით შეუდგა ნაცნობი მიდამოების ზვერვას.

— რაღაც შავი წერტილი მოჩანს, არა? — გაჟეჟილად თქვა მან, ვარაუდი ორჯერ-სამჯერ კიდევ შეამოწმა და დურბინდი პატრონს გაუწოდა, — მიდის თუ მოდის?

შავი წერტილი შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად ჩანდა, მაგრამ ამგვარი წერტილები — თოვლში ამოწვდილი დიდრონ-დიდრონი ქვები — იქ სხვაც ბევრი იყო.

— ადამიანია! — წამოიძახა კლდის მონახეთქ ვეება ლოდზე აპოტინებულმა თენგიზმა, — აი, მეორეც დავინახე!

— აბა, სად? — დურბინდის მოსარგებად ძია შიო ოკულარს ატრიალებდა და ქვებით მოფენილ კალთაზე ორ მოძრავ გამოსახულებას ეძებდა, — ეტყობა, ცოტა კი მომპარვია სიბერე. თქვენ უდურბინდოდ ხედავთ, მე კი დურბინდითაც ვერ გამირჩევია!

დურბინდმა მთელი ჯგუფი შემოიარა. ნუთუ ვაჟას სამეულმა ზღაპრული ფრთები გამოისხა და ასე მალე ზეგანის ჩრდილო დაქანებაზე გაჩნდა? ეს ვარაუდი სანდო არ იყო. თუ ასე მოკლე დროში სამეულმა ზეგანს ჩააღწია, ვაჟა და მისი თანმხლებნი ხომ ახლაც თხილამურებზე იქნებოდნენ შემდგარი და კალთასაც ბევრად უფრო ჩქარა გაირბენდნენ, ვიდრე ეს მოზოზიალე წერტილები. გარდა ამისა, აქ მხოლოდ ორი „წერტილი“ ჩანდა. სად გაჰქრა მესამე?

საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ „წერტილები“ მაშველი ჯგუფისაგან გამოგზავნილი მზვერავები იყვნენ. მზვერავებს სხვა რა უნდა სდომოდათ, თუარ ჩვენთან კავშირის დამყარება!

— ვანიშნოთ რითიმე, — წამოაყენა წინადადება თენგიზმა და ლოდზე აიმართა, — ეჰეჰააააუუუ!..

— თავს ტყუილად იღლი, — ასძახა მას ძია შიომ და დურბინდი ბუდეში ჩასდო, — აქედან რას გააგონებ. ძალიან შორს არიან.

— ისევ იმ ადგილას დგანან? — ვკითხე თენგიზს.

— აქეთ თუ იყურებიან. გინდა, დამენაძლევეთ: გვხედავენ!

— ბატონო შიო, — ხელახლა ჩაერია ლაპარაკში ნიადაგ დარბაისელი და თავაზიანი გერა ხელმძღვანელი, — დაგვეცადა, სანამ ვაჟა ჩაივლიდეს?

— ეჭვი გეპარება, რომ ჩაივლის?

— არა, ეჭვი კი არ მეპარება, მაგრამ...

— მე მგონია, ტყუილად დავბრკოლდებით, გერა. ერთი საათის ან საათნახევრის შემდეგ ვაჟა მაგათ შეხვდება და ამბავს ეტყვის. ხედავ? ისევ იღრუბლება. სანამ მწვერვალზე ავიდოდეთ და ისევ ჩამოვბრუნდებოდეთ, ვინ იცის, რამდენჯერ შეიცვალოს ამინდი. მთა და ზღვისპირი ერთია. ამ წუთს რომ დარია და მზე ანათებს, მეორე წუთში წვიმს და ქვეყანა წყალს მიაქვს. ისე, მე წინააღმდეგი არა ვარ, თუ შენ იტყვი...

— არა, არა, ბატონო შიო, თქვენ უკეთ იცით!

— მოდით ახლო, ბიჭებო. ჩამო ძირს, თენგიზ! ხედავთ ხომ, საითაც მივდივართ? კლდეზე ასვლის შემდეგ თხემს გავყვებით და ჯიმარაიმდე ვივლით.

— ძია შიო, ის ორი წერტილი ისევ იქა დგას!—წამოსცდა თენგიზს, — ზუსტად იმავე ადგილზე არიან, არც იქით, არც აქეთ!

— კარგი, მოვეშვათ მაგათ. ცქერით ვერაფერს გავხდებით. ჯგუფებად უნდა დავნაწილდეთ. გახსოვთ, ვინ ვისთან ხართ? საერთო მიმართულება ვიცით. აი, კლდე! ყველა ჯგუფმა თავისთვის მონახოს ასასვლელი. ისე, თვითონაც ხედავთ: სამივე მხრიდან შვეული კედელია. აღმოსავლეთით მეტი ნაპრალები აქვს. არჩევანი თქვენზე იყოს. სხვის საქმეში არ ჩავერევი. ოღონდ იცოდეთ: თერთმეტი საათისათვის თხემზე მოვგროვდებით. ახლა რვის ათი წუთია. იქიდან ერთად უნდა ვიაროთ.

— შეიძლება შეკითხვა? — თითი ავწიე მე, — თქვენ ვისთან იქნებით?

— თუ სიარული გიჭირს, გამოტყდი და... შენთან ვივლი. გინდა?

— არა, იმიტომ კი არა...

— ახლა კი აღარ გვეგვიანება. ყოველი წუთი ძვირფასია!

კლდე მაღალი იყო, მაგრამ ასასვლელად ძალიან ძნელს არ ჰგავდა. გრანიტის ფენები ამასაც სარტყელივით უვლიდნენ. ერთგან კლდე შუაზე იყო გახეთქილი. სოლისებური ნაპრალი ზევით თანდათან ფართოვდებოდა და თხემის მთელ სიგრძეზე გაწოლილი თოვლის ზოლს ერწყმოდა. ნაპრალშიც თოვლი ბზინავდა. ქვეშ ყინულის სქელი ფენა უნდა ყოფილიყო. წერაყინი ცოტა ზემოთ დავკარი და ტანი მსუბუქად გადავიტანე. მერაბი კვალდაკვალ მომყვა და მაშინვე ადგილის შენაცვლება შემომთავაზა. ცივი უარი ვუთხარი. მეწყინა კიდეც. ნუთუ ისე გაჭირვებული მნახა, რომ უკვე მეხმარებოდა? თოვლი მაინც ჩაიმტვრა. შიგ მუხლამდე ჩავვარდი და შუბლზე ცივი ოფლი დამასხა.

— ნუ გეშინია, აქ ვარ! — მყისვე მომაშველა მერაბმა და თოკი დაჰქაჩა. წინ თოვლი კიდევ მოვსინჯე და უცაბედი შეყოვნების მისაფუჩეჩებლად ორი საფეხური ამოვტკეპნე.

— ნამქერში მოვხვდით, — საქმის ცოდნით შენიშნა მერაბ-

ეროვნული

მა, — ღმერთს მადლობა უთხარი, რომ ქვეშ ნამბული თოვლია ნამეტანს ცდილობ. რად უნდა, ბიჭო, მაგდენი ბეკნა!

— ფეხი რომ დაგიცურდეთ?

— მიდი, მიდი, მაგის ჯავრი გაქვს?

ნაპრალის ვიწრო ყელს ათიოდე მეტრით ძლივს ვიქნებოდით აცილებული, როცა წერაყინის კბილი ყინულს თუ ქვას მოხვდა და მჭახე ჭახანი ძოიღო. მერაბი ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით იდგა, ზიარი თოკი ორივე ხელით ეკავა და ჩემს ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა.

— ხომ არ გატეხე? — წერაყინზე მკითხა.

— ყინულს მოხვდა.

— ასე მალე? მიდი, მიდი, ამოჩეხე საფეხური!

— რა ამბავია, ბიჭებო? — დაინტერესდა ქვემოთ თენგიზი.

—ყინულია, — ჩემს მაგივრად მიუგო მერაბმა, — საფეხურს ვჩეხავთ.

— ხომ არ დაიღალეთ, კაცო, ამოვიდე?

— მოიცა, უშენოდაც ვეყოფით ხალხი.

მერაბის უკანასკნელი სიტყვებით წათამამებული წერაყინს ღონივრად ჩავაფრინდი და გრანიტივით გამაგრებულ, თითქმის უწყლო ყინულს თავგამოდებით დავუშიხე. ნაფშხვენები ჰაერში იფანტებოდა და, ალბათ, მერაბს ეყრებოდა თავზე. ყინული გაძალიანდა. ოთხი საფეხურის ამოჩეხვას მთელი ნახევარი საათი ძოვანდომე. სხვა უხერხულობას აქ ისიც ზედ დაერთო, რომ ზემოთ და ზემოთ წერაყინის ხმარება და, ამავე დროს უკვე ამოჩეხილ ვიწრო საფეხურზე წონასწორობის შენარჩუნება თანდათან გაძნელდა. დაღლილობა უკვე მომერია და ამას ახლა ვეღარ ვმალავდი. მერაბმა შემატყო. უხმოდ დაიძრა ადგილიდახ. წინააღმდეგობის გაწევის თავი ამჯერად უკვე აღარ მქონდა. ყინულის კედელში ჩამაგრებულ რკინის პალოს თოკი საიმედოდ გამოვაბი, მოვეჭიდე და, რადგახ გვერდზე დასადგოძი ადგილი არსად იყო, დამატებითი საფეხურის გაჭრა კი დროსა და ძალღონის დახარჯვას მოითხოვდა, ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. მერაბმა ოსტატურად ამიარა და ზემოდან მომექცა. ცოტა ქვევით კოტე ვეშაპელი და თენგიზი იდგნენ, გათოშილი ხელებით თოკი ჩაებღუჯათ და, თუ რომელიმე ჩვენგანს ან ორივეს ერთად ყინულზე ფეხი აუსხლტებოდა, მზად იყვნენ მოსაშველებლად. მერაბი დინჯად და აუჩქარებლად ჩეხდა საფეხურს, ერთ ბეწო მოუთმენლობასაც არ იჩენდა. ასე შეეძლო საღამომდე შეუჩერებლივ ემუშავა და არ დაღლილიყო. თუმცა თვალი ხშირად გატყუებს ადამიანს: სხვის ხელში იარაღი მსუბუქად მუშაობს. უყურებ და ტკბები პირდაპირ! გგონია, მის მოძრაობას კუნთებისა და ნებისყოფის არავითარი დაძაბვა არ სჭირდება. ფუმფლასავით მსუბუქი წერაყინი მხოლოდ შენს ხელშია მძიმე და ძნელად სახმარი. მერაბმა მაინც დიდხანს გასძლო. [illegible]იმეტი საფეხური ამოჩეხა და ძირს მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიხედა.

რიგით კოტეს ეკუთვნოდა დაწინაურება. მერაბი და თენგიზი უკვე მოლაპარაკებულიყვნენ. ზიარ თოკს კოტე სულ ბოლოში მოჰქცეოდა. თენგიზი ცოცვით ამოჰყვა კედელს და ოფლში გაწურულ მერაბს ადგილი შეუნაცვლა.

— ნეტა რომელი საათია? — ხრინწიანი ხმით იკითხა მერაბმა, — ვაითუ სხვები უკვე ავიდნენ თხემზე!

— ჯერ ადრეა, — თქვა თენგიზმა, უკან დაიხია, რათა საფეხურის ამოსაჭრელი ადგილი უკეთ ამოერჩია და ყინულის გლუვ კედელს წერაყინი შემოჰკრა.

— ფუ! ნელა, ბიჭო, რას შვრები! — დაიყვირა ნაპრალში კოტე ვეშაპელმა, — სულ თავზე უნდა დამაყაროთ?

— შენც ნუ შეუშვებ თავს!

— სად წავიდე?

— პლაცკარტით თუ გინდოდა მგზავრობა, იქავე ვერ თქვი?

— მოეშვი! — დაუბღვირა მეგობარს მერაბმა, — არ იცი მაგისი ამბავი?

ნაპრალი სხვა ჯგუფებზე გვიან ავათავეთ. სიცივისაგან გალურჯებული ძია შიო, გერა ხელმძღვანელი და მათთან ერთად ასული ბიჭები უკვე მთელ ნახევარ საათს გველოდებოდნენ. ლოდინი რომ უფრო დიდხანს არ მოსწეოდათ, კლდის ქიმზე დამაგრებული თავიანთი თოკის წვერი ჩამოგვაწოდეს და უკანასკნელი მეტრების ავლა გაგვიადვილეს. ავედით და ისევ მოფარებულ, მყუდრო ნაპრალში ყოფნა ვინატრეთ. მარადიული თოვლითა და ყინვით გათანგულ თხემზე სუსხიანი ქარი უბერავდა. ძია შიო კმაყოფილი იყო. მერაბსა და თენგიზს ყველაზე უფრო ძნელი უბანი შეერჩიათ ამოსასვლელად. მიტომაც გაგვიჭირდა. სამაგიეროდ, სხვები სიცივით დაიჩაგრნენ. ავედით თუ არა, წუთიც აღარ შეგვისვენია, მაშინვე გზა გავაგრძელეთ. ირგვლივ თოვლის კორიანტელი ტრიალებდა და წამდაუწუმ შიგ გვახვევდა. თხემი ისე ვიწრო იყო, ადგილ-ადგილ კაცი კაცს გვერდს ძლივს აუვლიდა. მარჯვნივ და მარცხნივ ნისლში გახვეული ლურჯი მთების უწესრიგო განშტოებები მოჩანდა. ამ მთას იქით მთა იყო, იმ მთას იქით კიდევ მთა და, ალბათ, ქვეყნის კიდემდე მთა მთას ებმოდა.

უფრო ახლოს, თხემის ორთავე მხარეს, ფრიალო კლდეები და თოვლიანი ციცაბო კალთები ქვესკნელისაკენ მიექანებოდნენ და იქ უფსკრულში იკარგებოდნენ. შუაზე გაპობილ კლდეებს შორის გადმოვარდნილი წყალუხვი მდინარეები დაბლობისაკენ ჩანჩქერებად გადაკიდებულიყვნენ და, გამაყრუებელი ზათქისა და ღრიალის მაგიერ, უბრალო ჩქამსაც არ გამოსცემდნენ. ნეტავი რატომ? ეს მყინვარი იყო და მხოლოდ შორიდან ჰგავდა მდინარეს...

ძია შიო გვაჩქარებდა. თხემზე ამოსვლის შემდეგ ის შეუცვლელად მიუძღვოდა წინ ჯგუფს და მარტო მაშინ ჩერდებოდა, როცა ღრმა ხრამზე გადასვლა იყო საჭირო, ანდა რისამე თქმა უნდოდა. ხრამები ხშირი იყო. ბედად, ზოგს შემოსავლელი



ჰქონდა. თუ შემოვლას ვერ მოვახერხებდით, ძია შიო ან რომელიმე ჩვენგანი ხრამის ფსკერზე ეშვებოდა და სახელდახელო ბონდის გასაჭიმავად მოპირდაპირე კედელზე ასვლას იწყებდა.

მაგრამ რად მიგვეჩქარებოდა ასე ძალიან?

ჯგუფის წევრთაგან ყველა ცალ-ცალკე შფოთავდა, მაგრამ მღელვარების ხმამაღლა გამჟღავნება ვერავის გაებედა. თუმცა რატომ არ უნდა გვეჩქარა? მწვერვალზე ასვლა და უკან დროით დაბრუნება ძალიან საშური საქმე იყო. თუ არ ვიმარჯვებდით, ამაღამ ისევ ღრუბლებს ზემოთ მოგვიხდებოდა ღამის გათევა და საშინელ სიცივეში, ყოველ წამს მოსალოდნელ საფრთხეს თავიც რომ დაანებო, ძილი და მოსვენება ხომ გინდა!

უთავბოლოდ აბორიალებულ თხელ ღრუბლებში მზე იჭვრიტებოდა. ეს სულ სხვა მზე იყო — ათახთახებული და კაშკაშა, მაგრამ სითბოს და მცხუნვარებას მოკლებული...

ცხვირწინ მიმავალი კოტე ვეშაპელი უცებ გაჩერდა. მეც იმწამსვე ფეხები გავაბაჯიჯგე და წინ გავიხედე — რა ხდება მეთქი. სხვებიც შეჩერებულიყვნენ და, როგორც ერთი, რაღაცას უყურებდნენ. ქედის მიკიბულ-მოკიბულ ხერხემალს თვალი გავადევნე. ის ერთბაშად მაღლდებოდა და მთავრდებოდა თითქოს თაბაშირისაგან გამოკვეთილი უზარმაზარი თეთრი კუზით, რომელიც უკან ყოველივეს ჰფარავდა და მაცქერალს გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ იმას იქით ქვეყნიერება აღარ იყო...

პირქუში ჯიმარაი მედიდურად იდგა საკუთარ საბრძანებლოში და თავის ნამდვილ სახეს თხელი ნისლის გამჭვირვალე პირბადის ქვეშ ბეჯითად გვიმალავდა.

ხელზე ხოშკაკალის მსხვილი მარცვალი დამეცა. ცას ავხედე. ნუთუ დღისით, როცა მზე ანათებს და თანაც შუა ზაფხულია, შეიძლება თოვლი მოდიოდეს?

— კოტე! მერაბ! ხედავთ? თოვს! — ხმამაღლა დავიყვირე მე.

— რა გიკვირს, თოვლის მეტს რას ხედავ! — ზარმაცად მომიგო კოტემ ისე, რომ არც მოუხედია.

გასაკვირი მართლაც არაფერი იყო. თუ წლის ყოველ დროს არ მოთოვდა და თოვლის ძველ ფენას ახალსაც არ დაამატებდა, მაშინ ვერც ეს კლდესა და კლდეს შუა ჩაწოლილი მყინვარი გასძლებდა და ბარში კიდევ, ვინ მოსთვლის, რამდენი დიდი და მცირე მდინარე დაშრებოდა.

ხოშკაკალა, რომელსაც ქარი ირიბად მოაქანებდა, ისე მსხვილი და მძიმე იყო, ტანსაცმელზე, ხალთასა და თხილამურებზე დაცემისას კენჭებივით ჭახაჭუხი გაჰქონდა. ასეთ დროს, როდესაც ხოშკაკალის მაგიერ ჟუჟუნა წვიმა მოდის, ბარში იტყვიან, მზე პირს იბანსო. მზე ახლაც პირს იბანდა, მაგრამ ამ სიმაღლეზე წყალი ვერ ეშოვნა და სახეზე მსხვილი ხოშკაკალის ბუსუსიან მარცვლებს იყრიდა.

კიდევ უფრო მოვუჩქარეთ ნაბიჯს. ამინდი უკვე აღარ ხუმრობდა. მზეს სქელი ღრუბელი მოეფარა და ირგვლივ ყველაფერს ბინდისფერი გადაეკრა.

,,ახლა ის დროა, თავშესაფარს ვეძებდეთ, — გავიფიქრე მე და დადაბლებულ ცაზე ვეშაპივით გაწოლილ ღრუბელს თვალი შევავლე, — ქარი სასიკეთოს არას გვიქადის, ხოშკაკალაც ტყუილად როდი წამოვიდა...“

გაგრძელება
შემდეგ
ნომერში

ა. ბებელი (მე-19—მე-20 საუკუნის გერმანელი მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე): ადამიანსა და ცხოველს შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანი წარმოადგენს მოაზროვნე ცხოველს, ცხოველი კი არ წარმოადგენს მოაზროვნე ადამიანს.

პ. ბოვი (მე-19 საუკუნის ინგლისელი პოეტი): აზრები — სულის ფრთებია.

მ. გორკი: აზროვნება ყველა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის მოვალეობაა.

ჯ. ბროტი (მე-19 საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი): ...ყველაზე უკეთესი ფილოსოფოსი ისაა, ვინც ყველაზე მარტივად აზროვნებს.

დანტე (მე-13—მე-14 საუკუნის იტალიელი პოეტი და მოაზროვნე): ბედნიერი ხარ, თავისუფლად აზრს რომ გამოთქვამ.

რ. დეკარტი (მე-17 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი, მეცნიერი): ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ.

დ. დიდრო (მე-18 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი-განმანათლებელი): თითქმის ყველა ანტიკურ ქანდაკებას, მცირეოდენის გამოკლებით, თავი ოდნავ დახრილი აქვს. ეს — ადამიანის დამახასიათებელი ჩაფიქრების ნიშანია, ვინაიდან ადამიანი მოაზროვნე ცხოველია.

მ. ნალბანდიანი (მე-19 საუკუნის სომეხი რევოლუციონერ-დემოკრატი, ფილოსოფოსი): ...აზრის თავისუფლების გარეშე არ არსებობს განათლება.

ა. პუშკინი: მაშ რა შეადგენს ადამიანის სიდიადეს, თუ არა აზრი?

რ. როლანი (მე-20 საუკუნის ფრანგი მწერალი, მუსიკათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე): აზრის თავისუფლება ყოველგვარ ბედნიერებაზე დიდია.

მ. საფირი (მე-19 საუკუნის გერმანელ-ავსტრიელი პოეტი და პუბლიცისტი): აზროვნება — ეს სულის სუნთქვაა.

ციცერონი (ჩვ. წ.-მდე 1-ლი საუკუნის რომაელი ორატორი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე): ცოცხლობდე — ეს ნიშნავს აზროვნებდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი რევოლუციის მეკავშირე

მხატვარი
ი. ილინსკი

ვლადიმერ ურასოვის
ნაამბობი ჩაწერა
რიმა კანდელაკმა.

## საიდუმლო დავალება

დაგაინტერესებთ ალბათ, როგორ გავხდი მე, რუსი ჯარისკაცი, უნგრეთის რევოლუციის წარგზავნილი? და ისიც საიდუმლო?

1914 წელს დაიწყო იმპერიალისტური ომი. ჩვენ, მუშა და გლეხი ჭაბუკები, სანგრებში ჩაგვრეკეს. მე არც თუ ისე სახარბიელო „რეკომენდაცია“ მქონდა: საბრძოლო რაზმი, ციხე, გადასახლება. ამიტომაც სწორედ იქ გამგზავნეს, სადაც სიკვდილი არ უნდა ამცდენოდა. ჩვენს რაზმს კი მტერმა უცებ შემოარტყა ალყა და ტყვედ ჩაიგდო. გონს რომ მოვედი, უკვე უნგრეთში ვიყავი.

ვხედავ: ირგვლივ აუწერელი სილამაზეა! ვენახები, სწრაფი მდინარეები, გორაკებზე აღმართული ციხე-დარბაზები. ხალხიც კარგი: ამაყი, ღირსეული. და მერე არ იტყვი, რა მომღერალი! მაგრამ უნგრელი ოფიცრები ტყვეებს მეტისმეტად მხეცურად გვეპყრობოდნენ: სამხედრო დანიშნულების ქარხანაში მუშაობაზე უარის თქმისთვის მცემეს, მაწამეს და, როგორც ბუნტის მოთავე, „შავ სიაში“ შემიტანეს. ყველაზე მძიმე სამუშაოებზე მაგზავნიდნენ. ერთ ხანს მოჯამაგირედ ვიყავი რომელიღაც გრაფის მამულში. მერე შედარებით გამიმართლა: ბუდაპეშტში საავთიაქო საწყობში გამგზავნეს შემფუთავად. აქ ტყვეებს გაცილებით იოლი სამუშაო და მეტი თავისუფლება გვქონდა.

ზამთრის მიწურულში ქუხილივით გავარდა: რუსეთში რევოლუციაა! რვა თვის შემდეგ ისევ: რუსეთში — მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელშია! აბა რა გული დამიდგებოდა! დარდით ძილიც კი დავკარგე. აბა ეს საქმეა, რევოლუცია უჩემოდ დაიწყო?!

იმ დროისთვის ჩვენთან, ტყვეებში, უკვე მომაგრდა პარტიული ჯგუფი, რომელშიც რუსი ტყვეების გარდა უნგრელებიც შედიოდნენ. და მე არ შემეძლო მარტო ჩემი ნება-სურვილისამებრ მოვქცეულიყავი. ჩვენმა ახალმა ხელმძღვანელმა ბელა კუნმა, როგორც კი გავიცანით ერთმანეთი, უმალვე შემომთავაზა:

— გაზეთის გამოშვების საქმეა მოსაგვარებელი! შენ ამ საქმეში გარკვეული ხარ და უნდა მოგვეხმარო!

უნგრელი მუშები გაბედული და ფიცხი ხალხია. აი, რა მოიგონეს: შიგ ქალაქის ცენტრში, ლამაზ ექვსსართულიან შენობაში, რომელშიც დიდი თანამდებობისა და შეძლებული ხალხი ცხოვრობდა, სარდაფში, ზედ პოლიციის ცხვირწინ მოაწყვეს იატაკქვეშა სტამბა. ზევით კომერსანტები, ბანკირები თათბირობენ ჩვენს წინააღმდეგ, მიწის ქვეშ კი ჩვენ — მათ წინააღმდეგ.

საბეჭდი მანქანა ძველი იყო, თვითონ შევაკეთეთ; ქაღალდი უმდარესი ხარისხისა, შრიფტი კიდევ იმაზე უარესი. მქნევარას ხელით ვატრიალებდით რიგ-რიგობით. თვით ბელა კუნიც ატრიალებდა.

ბელა კუნი, რომელსაც თაფლისფერი თვალები და გამობურცული შუბლი ჰქონდა, ახალგაზრდად ვამოიყურებოდა, სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, ძალიან თავდაბალი იყო. მაგრამ იგი ნამდვილად პროლეტარიატის ბელადად დაბადებული, დიდი ნებისყოფის ადამიანი იყო. წერდა მწვავედ, მოკლედ ლაპარაკით კიდევ უფრო უკეთ ლაპარაკობდა. პირდაპირ მიზანში ურტყამდა. მე გაგონილი მქონდა, რომ ილიჩი ძალიან აფასებდა მას. რუსეთში ბელა კუნი მოხვდა ისევე, როგორც მე უნგრეთში — სამხედრო ტყვედ. იგი მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციაში, ებრძოდა თეთრგვარდიელებს. მე ძალიან მომწონდა, რომ ბელა კუნი რუსულ სიტყვებს ჩვენებური, ურალური აქცენტით გამოსთქვამდა. ბელა კუნს გაუხარდა, რომ ბუდაპეშტში შეხვდა ურალელი მუშა. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით.

იმ სარდაფში «Вёрёш уйшаг»-ის („წითელი გაზეთი“) ხუთი ნომერი გამოვუშვით. გაზეთი უმალ ვრცელდებოდა. მას კითხულობდნენ ქარხნებში, რკინიგზის სახელოსნოებში, ყაზარმებში. იგი ხალხს უამბობდა სიმართლეს ოქტომბრის რევოლუციაზე, ლენინზე. უარყოფდა ბურჟუაზიისა და მათი მაჩანჩალების — სოციალ-დემოკრატთა ბინძურ მონაჭორებს, განმარტავდა ჩვენს ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ძალიან კარგი გაზეთი იყო: ხელიდან ხელში გადადიოდა, მუშები სტრიქონსაც კი არ ტოვებდნენ წაუკითხავს.

ერთხელ, — ეს იყო 1918 წლის დეკემბერში — ბელა კუნმა გამომიძახა:

— ვლადიმერ, ძალიან სერიოზული დავალება უნდა მოგცე. ჩვენს თანამებრძოლ ლაიოშ ნემეტთან ერთად, რადგაც არ უნდა დაგიჯდეს, მოსკოვში უნდა ჩახვიდე. პირდაპირ ლენინთან მიხვალ. აუცილებელია, რომ მან იცოდეს უნგრეთის ამბები სარწმუნო წყაროებიდან. ფანქარი არ გინდა, დაწერა არ შეიძლება. მე ვილაპარაკებ და თქვენ დაიმახსოვრეთ.

იმ ღამეს, ბუდაპეშტის იმ სახლის

სარდაფში, სადაც ყველა ექვსივე სართულზე ლოთობდა, მღეროდა და ლრეობდა ბურჟუაზია, მე და ლაიოში ნემეტი, სულგანაბულნი ვისმენდით სიტყვებს, რომლებსაც ბელა კუნი ღინჯად და გარკვევით გვკარნახობდა. ეს იყო ზეპირი წერილი ილიჩთან, იმის შესახებ, რომ უნგრეთის რევოლუცია იწყებოდა.

## „მხიარული მოგზაურები"

მგზავრობისათვის დიდის ამბით მოგვამზადეს. ჩაგვაცვეს ძვირფასი ავსტრიული პალტოები, ბეწვის საყელოებით. თავზე ხოხბისფრთაგარჭობილი შლაპები დაგვხურეს. ფეხზე — სქელლანჩიანი ფეხსაცმელები. ხელში მოზრდილი ჩემოდნები მოგვცეს, აი, სწორედ ისეთები, საქმოსნებს რომ დააქვთ ხოლმე. აბრეშუმის ნაჭრებზე დაბეჭდილი მანდატები სარჩულში გამოვაკერეთ.

ბარანოვიჩში მიმავალ ავსტრიელ კომერსანტებად უნდა გაგვესაღებინა თავი. მთელი გზა ვაბოლებდით მოკლე ჩიბუხებს, კბილებში ვცრიდით გერმანულ გინებას, აღშფოთებას ვერ ვფარავდით უწესრიგობის გამო. ფეხის ქირას გულუხვად ვარიგებდით და ჩვენს წინ ყველა კარი ღია იყო.

ბარანოვიჩში სადგური დანგრეული დაგვხვდა.

— შორი გზა გაქვთ? — მოგვმართა ტყაპუჭიანმა მეეტლემ.

— პოგორელცამდე! — ვუთხარი მე და ჩიბუხი გავაბოლე.

— პოგორელცამდე? — შეშინდა მეეტლე. — იქ ხომ ფრონტია, ბოლშევიკები! აგერ კი საგუშაგო რაზმი დგას! გერმანელს ხუმრობა არ უყვარს. ტყვია არ აგცდებათ.

ლაიოშმა ასიგნაციების სქელი დასტა ამოიღო. ამის დანახვაზე მეეტლეს თვალები აენთო და თავის მსუბუქ მარხილში ჩაგვსვა. გერმანელები ნაძვის ხე, ისმოდა სიმღერა. და ჩვენმა თლიღების წინადღეს ზეიმობდნენ. სასაზღვრო ბარაკში ხახხახებდა ნამარხილმა შეუმჩნევლად ჩაიქროლა.

— ახლა კი პირდაპირ სტოლბცში! — გავეცი განკარგულება.

მეეტლე კინაღამ კოფოდან გადმოვარდა.

— რას ამბობთ, ბატონო, სტოლბცში ბოლშევიკები არიან!

— გასწი-მეთქი, შენ გეუბნებიან! აქ ხუთასი მანეთია და სულ შენი იყოს.

ცხენმა სვლას უმატა. წინიდან გერმანული ლაპარაკი მოისმა, როგორც ჩანდა, პატრული მოდიოდა. მე და ლაიოშმა ერთმანეთს თვალი ვუყავით და არყის ვეება ბოთლი ამოვაცოცეთ. და როგორც კი გაისმა მრისხანე „ჰალტ!", ჩვენ უმალვე ვუსურვეთ თვალწინ აჩენილ პატრულს „ბედნიერი ახალი წელი". ვითომ სიმთვრალისაგან ფეხარეულები გაჭირვებით ჩამოვედით მარხილიდან, გულუხვად ვუსხამდით არაყს, ვასმევდით, რაღაც სისულელეებს ვმღეროდით და, ბოლოს, „გერმანიის სახელოვან დამცველებს" მთელი ბოთლი არაყი ვაჩუქეთ. რა გაეწყობა, აბა რა გინდა უქნა ასეთ გულუხვ კომერსანტებს! მადლობა გვითხრეს და გაგვიშვეს.

პატრული გაქრა, თითქოს ღამის სიბნელემ შთანთქა. ჩვენ ნემანამდე მივედით მარხილით. მივეცით მეეტლეს ფული, და იმანაც უკანმოუხედავად მოუსვა, ოღონდ ერთი კი მოგვაძახა, ნემანზე ყინული ჯერ კიდევ თხელია და უფრთხილდითო.

მივდივართ ყინულზე. ცხვირპირში გვცემს ქარი.

— სდექ! ვინ მოდის? — გაისმა უცებ რუსულად.

მიგვიყვანეს საფარი რაზმის შტაბში. გავიხადეთ სველი პალტოები, კოსტუმები, გავარღვიეთ სარჩული. აღელვებისაგან სიტყვის ამოღება არ შემეძლო: რამდენი წელია არ ვყოფილვარ რუსეთში! მოღუშული მესაზღვრეები კი უნდობლად გვათვალიერებდნენ ღამით, მდინარეზე დაკავებულ უცნაურ ბურჟუებს.



და უცებ მეთაურის ხმა, აბრეშუმის ნაჭერზე დაბეჭდილ მანდატს რომ კითხულობდა, გამხიარულდა:

— „...მოსკოვში, ლენინთან წარგზავნილ..."

— ოჰ, თქვე ობროდებო, რაღას გაჩუმებულხართ?

## კრემლში

დილით უძვირფასესი სტუმრის საკადრისად გაგვაცილეს: საგზლად მოგვცეს პური, შემწვარი კარტოფილი, ვაგონ-თბილანაში ჩაგვსვეს, გვთხოვეს, უსათუოდ გადაგვეცა ილიჩისათვის წითელგვარდიული სალამი.

აკაკუნდნენ ბორბლები: „შინ ლენინთან; ში-ნ, ლენინთან, ში-ნ, ლენინთან". ვერაფრით ვერ დავმშვიდდი. სულ იმაზე ვფიქრობდი: როგორ მიგვიღებს მოსკოვი? როდის ვნახავ ვლადიმერ ილიჩს?

თავში აზრადაც კი არ მომდიოდა, რომ სულ მალე შევხვდებოდი ჩემს ძველ ამხანაგს ციმბირის გადასახლებიდან, ჩემს მასწავლებელს ემელიან იაროსლავსკის. ის პირველსავე დღეს ვნახე გაზეთ „პრავდის" რედაქციაში. ვეება ტანის, სათვალეებიანი,



როხროხა, იგი სიხარულით გადამეხვია და თავისთან სახლში წამათრია.

მალე შევხვდი სვერდლოვის მეუღლეს კლავდია ნოვგოროდცევას. სწორედ მისგან შევიტყვე:

— ხვალ ვლადიმერ ილიჩი მიგიღებთ. მან უკვე იცის თქვენს შესახებ.

...ლენინი სამუშაო მაგიდას უჯდა და ფოსტას ათვალიერებდა; ყველაზე მნიშვნელოვან წერილებს გვერდზე აწყობდა. თვალში მომხვდა, მის ზურგს უკან, ჰოლანდიურ ღუმელზე გაკრული განცხადება: „გთხოვთ ნუ მოსწევთ", „ხელის ჩამორთმევა არაა საჭირო": მოსკოვში იმხანად „ისპანკის" ეპიდემია მძინვარებდა, და მე ხელები ზურგს უკან დავმალე, რომ როგორმე, ჩემდაუნებურად... მაგრამ ლენინი უკვე მოდიოდა ჩემსკენ, თვალებმოჭუტული, გაღიმებული. ორივე ხელი გამომიწოდა, თითქოს განცხადება არც ყოფილიყოს. სკამი დამიდგა, დამსვა, ღიმილით გამამხნევა.

— ძალიან მიხარია თქვენი ნახვა, ძალიან. დაჯექით, ამხანაგო ურასოვ, მიამბეთ ყველაფერი — როგორ ჩამოაღწიეთ, რა ამბებია ბუდაპეშტში, რა მდგომარეობაა და როგორ გრძნობს თავს ჩვენი მეგობარი ბელა კუნი?

„აბა, თავი არ შეირცხვინო!" — ვუბრძანე საკუთარ თავს და დინჯად, მკაფიოდ დავიწყე ბელა კუნის ზეპირი წერილის კითხვა. თითქმის მთელი საათი ვკითხულობდი. ლენინი იწერდა. ვილაპარაკე უნგრეთის მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც ყოველი მხრიდან იმპერიალისტების არმიებით იყო გარშემორტყმული; ვუამბე პროფკავშირებზე, უნგრელი მუშების საბრძოლო განწყობილებაზე და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების — უნგრელი მენშევიკების ულირს როლზე.

ლენინი მისმენდა ჩუმად, ყურადღებით, შიგადაშიგ შუბლს ისრესდა; ერთხელ ნერვიულად აწრიალდა, სახეზე განრისხება აღებეჭდა. ეს მაშინ, როცა მე ვთქვი, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა ბუდაპეშტსა და სხვა ქალაქებში შექმნეს თავიანთი მილიცია და, რომ ამ მილიციამ უმალ დაიწყო მუშების განიარაღება.

— მუშებს ანიარაღებენ? ორგანიზებული გზით? — კბილებში გამოსცრა ვლადიმერ ილიჩმა და კაბინეტში წინ და უკან დაიწყო აჩქარებული სიარული.

კრემლის ფანჯრებში უკვე შემოიხედა სალამოს ბინდმა. მე დავამთავრე ჩემი მოხსენება და გავჩუმდი. ირგვლივ ყველაფერი საოცრებად მეჩვენებოდა: მე, სულ ცოტა ხნის წინ სამხედრო ტყვე, უბრალო ჯარისკაცი, ვზივარ კრემლში დიდ ბელადთან და ის ყურადღებით უსმენს ჩემს ნაამბობს უნგრეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

— სად დაბინავდით, როგორ მოეწყვეთ? — უცებ მკითხა ლენინმა და, როცა გაიგო, პრეჩისტენკაზე, ემელიან იაროსლავსკისთან და მის ცოლთან კლავდია კირსანოვასთან ვიყავი დაბინავებული, უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა: —საკმაოდ ცუდად მოწყობილხართ! იმათ ხომ თვითონაც უჭირთ. დიახ, დიახ, ნახევრად შიმშილობენ, ნუ გიკვირთ. აი რა, ამხანაგო ურასოვ, კრემლის მუდმივ საშვს მოგცემთ, უნგრელ კურსანტებთან იცხოვრებთ. იქ სჯობია თქვენთვის.

მაშინვე დაურეკა კრემლის კომენდანტს. დამშვიდობებისას მკითხა, სად მინდოდა დასვენება და შემდეგ მუშაობა. მე წამოვიძახე:

— პერმში მინდა.

ლენინი მოიღუშა, თავი გადააქნია:

— მიკვირს, ამხანაგო ურასოვ, რა მოუსვენარი კაცი ხართ. თქვენს პერმს აგერ-აგერ დაიკავებენ თეთრგვარდიელები. იქ ძალიან ჭირს, ძალიან. ამაზე ჯერჯერობით თავი უნდა შეიკავოთ.

მოიტანეს ჩემი საშვი. ვლადიმერ ილიჩმა მაგრად ჩამომართვა ხელი და კარგი დასვენება მისურვა.

მაგრამ დასვენება დიდხანს არ დამცალდა. მალე ნოვგოროდცევა-სვერდლოვამ ცეკაში გამომიძახა:

— ლენინის წინადადებით, თქვენ ბუდაპეშტში უნდა დაბრუნდეთ, არალეგალურ სამუშაოზე. ლ ე ნ ი ნ ი გთხოვთ, ძალიან ფრთხილად იყოთ. მარტო მოგიხდებათ წასვლა. აბა, თქვენ იცით.

## ალმები ბუდაპეშტის თავზე

ამჯერად მე „ავსტრიელი კომერსანტის" მაგიერ, სამშობლოში მიმავალ „სამხედრო ტყვედ", იუჟეფ ბრაბლეცად ვიქეცი. ხელში ჯარისკაცული ზანდუხი მეჭირა, რომელსაც ორმაგი ფსკერი ჰქონდა. მასში დამალული იყო პარტიული ლიტერატურა.

ჩემთან აღარ იყო ერთგული მეგობარი ლაიოშ ნემეტი. ის მოსკოვში დატოვეს. უნგრულ ენას რა უნდა მოუხერხოს კაცმა? ცხადია, სლოვაკელ იუჟეფ ბრაბლეცს შეეძლო კარგად არ სცოდნოდა უნგრული, მაგრამ მარტოდმარტო მაინც ძალიან ძნელია.

კიევს რომ გავცდით — სროლაა. რაც უფრო მეტად ვშორდებოდით კიევს, სროლა მით უფრო გახშირდა. ირგვლივ ბანდიტები დაეხეტებოდნენ: ვიღაც ატამანი ქალი მარუსია, მახნოველები, თეთრები, მწვანეები ზედ საზღვართან შემოგვეჩეხა პეტლიურელთა ჯავშნოსანი მატარებელი. სამხედრო ტყვეები თვალისდახამხამებაში გავქრით პლატფორმიდან. მე ხევში ჩავგორდი და მერე ფეხით გაკუყევი გზას ტერნოპოლამდე. იქ უნგრეთის „წითელი ჯვრის" მატარებელმა შეგვიხიზნა. ენაჭარტალა ექიმმა მომახარა:

— უნგრეთში ახლა გრაფ კაროლის მთავრობაა. შენ, ჯარისკაცო, კარგად გაგხეხავთ აბანოში, მადიარულ მუნდირს ჩაგაცმევთ, კარგ ხელფასს მოგცემთ და ერთგულად უნდა დაიცვა კაროლის მთავრობა.

— ცხადია, ცხადია!—ვუქნევ თავს ნეტარი, გულუბრყვილო გამომეტ-



ყველებით და თან ჩემს გულში ვფიქრობ: „ვერ მოგართვით, იუჟეფ ბრაბლეცი არც ისე სულელია“.

ვხედავ, მესამე უნგრულ სადგურზე ჩვენს აგიტატორს როგორღაც წაუხდა საქციელი, ენა ჩაუვარდა. ეტყობა, ორთქლმავლებზე გამოკიდებულმა წითელმა ალმებმა შეაშინეს.

— ბუდაპეშტში ხალხს ციხე-სიმაგრეზე მიაქვს იერიში, — თქვეს რკინიგზელებმა.

იატაკქვეშელის ძველი ჩვევის მიხედვით, გარეუბანშივე ჩამოვედი მატარებლიდან, სამხედრო ტყვეების ბარაკში შევიპარე და ზღურბლიდან ხმადაბლა ვიკითხე:

— როგორაა საქმე, ბიჭებო?

პასუხად ხარხარი გაისმა:

— რას ჩურჩულებ, ვალოდია?— მეუბნებიან სიცილით. — გუშინდელს აქეთ უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლებაა!

ის დღე არასოდეს არ დამავიწყდება. ბუდაპეშტზე ფრიალებდნენ წითელი ალმები. ჩვენ პირდაპირ სასახლეში წავედით. მაღალი კიბის თავზე გამოჩნდა უნგრეთის საბჭოთა მთავრობის მეთაური ბელა კუნი. როგორ გამხდარა, რა საშინელი ნაჭრილობევები ატყვია თავზე! მე უკვე ვიცოდი, რომ ბელა კუნი კონტრრევოლუციონერებმა დააპატიმრეს, კონდახებით სცემეს, აშიმშილეს, დახვრეტით ემუქრებოდნენ. იგი მხოლოდ სოციალისტურმა რევოლუციამ იხსნა.

ბელა კუნს გამარჯვების სიხარულით უბრწყინავდა თვალები. მან ღიმილით, ფრთხილად ჩამომართვა საბუთები.

— ვლადიმერ ილიჩმა, — ვუთხარი მე, — მთხოვა გადმოგცეთ შენ და უნგრეთის კომუნისტებს მხურვალე სალამი. ის ელის ახალ ამბებს...

— ოო, ჩვენთან დიდი ამბებია! — მან მხრებზე ხელი მომხვია, — ჩვენ ისევ გაგაგზავნით შენ, ამხანაგო ურასოვ, ლენინთან, სწორედ შენ! მაგრამ აწი აღარ მოგვიწევს შენი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. ახლა ჩვენ მთავრობა ვართ და შეგვიძლია შიკრიკი თვითმფრინავით გავგზავნოთ!

მთელი ღამე მესიზმრებოდა, რომ ვითომ მივფრინავ, ძალიან მარყევს, ვეცემი. დილით ადგომა ველარ შევძელი: მაღალი სიცხე მქონდა, მაბოდებდა. ტიფი დამეწყო. მოხსენებითი ბარათი უნგრეთის სოციალისტური რესპუბლიკის დაბადების შესახებ, ლენინთან სხვამ — თავდაცვის ახალგაზრდა სახალხო კომისარმა ტიბორ სამუელმა წაიღო. მე ამაზე არაფერი ვიცოდი. დიდხანს მოვუნდი მომჯობინებას.

133 დღე იარსება უნგრეთში სოციალისტურმა რესპუბლიკამ. შემდეგ ინტერვენტებისა და უნგრეთის ბურჟუაზიის რკინის სალტე შეიკრა და მოახრჩო იგი. მერე მე კიდევ არაერთხელ ვიყავი პარტიული მეკავშირე და გადავლახე საზღვარი, ოღონდ ლენინის ნახვის ბედნიერება მეტი აღარ მქონია: ის ავად იყო და მისი შეწუხება არ შეიძლებოდა.

* * *

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე იღებს ხელში ფოტოსურათს. მასზე გამოსახულია აბრეშუმის ნაჭერი, ზედ გაურკვეველი წარწერით.

— ეს სწორედ ის მანდატია. ახლა იგი ბუდაპეშტის რევოლუციურ მუზეუმში ინახება. შეგიძლიათ გაარჩიოთ, რა აწერია?

მე ვაკვირდები წარწერას.

— ...„მოსკოვში, ლენინთან მიმავალ უნგრეთის კომპარტიის წარგზავნილს გთხოვთ გაუწიოთ დახმარება.

ბელა კუნი“.

პარიზის ერთ-ერთმა გამომცემლობამ რომანის ხელნაწერთან ერთად რამდენიმე გირვანქა შოკოლადიც მიიღო.

გამომცემლობის თანამშრომელმა ავტორს ასეთი პასუხი გაუგზავნა:

„თქვენს მიერ გამოგზავნილი შოკოლადი ძალიან კარგი გამოდგა და ჩვენც სიამოვნებით მივირთვით იგი; რომანი კი, სამწუხაროდ, არაფრად არ ვარგა, ამიტომ მას უკანვე გიბრუნებთ. მომავალში მხოლოდ შოკოლადები გამოგზავნეთ, გეთაყვა“.

— მართლა შეუძლია უბედურების მოტანა შავ კატას?—ჰკითხეს ერთ პროფესორს.

— უეჭველად, ოღონდ... თაგვებისათვის.

ზოოლოგიური მუზეუმის ერთ-ერთ განყოფილებაში უზარმაზარი მამონტის ჩონჩხი გამოეფინათ.

მნახველებმა მუზეუმის თანამშრომელს ჰკითხეს, რამდენი წლისაა ეს ჩონჩხი.

— ეგ ზუსტად შემიძლია მოგახსენოთ,—უპასუხა მან.—ეს ჩონჩხი ოცი მილიონი წლის, ათი თვის, სამი კვირისა და ოთხი დღის გახლავთ.

— რა საინტერესოა!—წამოიძახეს მნახველებმა.—მაინც როგორ შესძლეს ასე ზუსტად გამოანგარიშება?

— ოჰ, ეს სულ უბრალო ამბავია. რაც მე ამ მუზეუმში ვმუშაობ, მას შემდეგ ათი თვე, სამი კვირა და ოთხი დღე გავიდა, ხოლო როცა მუშაობა დავიწყე, დირექტორმა მითხრა: კარგად დაიხსომე, ეს ექსპონატი ოცი მილიონი წლისაა.

სახელგანთქმულ მხატვარს – მენცელს ერთი სულწასული კოლეგა ესტუმრა, სასწრაფოდ დაათვალიერა მისი სურათები და წარმოთქვა:

— ვერაფრით ვერ გამიგია, რაშია საქმე: ერთ დღეში თავისუფლად ვხატავ სურათს, მაგრამ მის გაყიდვას მთელ წელიწადს ვუნდები.

— მაშინ პირიქით უნდა მოიქცეთ, ჩემო კეთილო,—უთხრა მენცელმა,—მთელ წელიწადს უნდა იმუშაოთ სურათზე და მაშინ ერთ დღეს გაჰყიდით მას!

დ ე დ ა: რატომ ყურებიც არ დაიბანე?

ტ ო ნ ი: შენ ხომ მითხარი, პირი დაიბანეო, ყურების შესახებ რომ არაფერი გითქვამს?!

გერმანულიდან თარგმნა დ. ჩაკვეტაძემ.



1

ფოტო-
რეპორტაჟი
ანზორ
ჩიგოგიძისა

უკვე ორ თვეზე მეტია, საქართველოს თვალწარმტაც კურორტებსა და აგარაკებზე, ცადაზიდულ მაიებში, შავი ზღვის პირებზე პიონერული საბანაკო ცხოვრება ჩქეფს. ათეულ ათასობით პიონერ-მოსწავლე ისვენებს და იკაჟებს ჯანმრთელობას სურნელოვან ფიჭვნარებში, მდინარეებისა თუ ზღვის ლივლივა ტალღებში...

მაგრამ ბანაკებში პიონერები არა მარტო ისვენებენ, აქ ისინი კვლავ განაგრძობენ სწავლასა და შრომას სხვადასხვა ხასიათის წრეებში, კვლავ გრძელდება ყოველდღიური, ნამდვილი პიონერული საქმიანობა.

წელს ნორჩ დამსვენებლებს ერთ-ერთმა პირველმა გაუღო კარი სოფლის მეურნეობისა და დამზადების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კიკეთის პიონერთა ბანაკმა. ბანაკის გახსნის პირველსავე დღეს 280 ბავშვის ბედნიერი ღიმილი აკიაფდა ზურმუხტისფერ ტყეში ჩაფლულ ბანაკში. პირველ დღიდანვე ჩაებნენ ბავშვები ხალისიან საქმიანობაში. ჩამოყალიბდა ხელოვნების მოყვარულთა კლუბი „ჯადოსნური სალამური", ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, „ჰანჭიკელას სახელოსნო", სპორტკლუბი „ოლიმპია", კლუბი „ქარიშხალა", რომლის წევრებიც კოლმეურნეობისადმი დახმარების საქმეს თაოსნობენ.

შინაარსიანად და ხალისიანად ატარებენ დღეებს ამ ბანაკის პიონერები. სწორედ მათი დასვენებისა და საქმიანობის ერთ-ერთი დღეა ასახული აქ მოთავსებულ ფოტოსურათებზე.



2



3

# 280 ხალ



4













# ᲘᲔᲖᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ





**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:**

1. დილაადრიან ალვიძებს არე-მარეს პიონე
საყვირის ხმა. 2. „ჩვენ ძველი მეგობრები ვარ
მესამედ ვხვდებით აქ ერთმანეთს“. 3. ბანაკის დ
ტორი ვ. ნასარიძე ქების სიგელს გადასცემს თ
სის 1-ლი საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლ
მელაძეს. ლილიმ ეს ჯილდო სანიმუშო სისუფ
დაცვისათვის დაიმსახურა. 4. ახე იწყება ყ
დღე... წამოხტებიან თუ არა საწოლებიდან, ნორჩ
სვენებლები სპორტული მოედნისაკენ გარბიან,
მათ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი მ. ა
ელოდებათ. 5. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო.
იცის, იქნებ ამ ნორჩ მოჭადრაკეებში მომავალ
დოსტატებიც არიან. 7. საღამოობით ცეკვა-სი
ჩაღდება. ყველა ხალისობს, ყველას უნდა გამოი
თავი საერთო მხიარულებაში. 8. ნეტა რას უჩ
ლებს ეს პატარა გოგონა თავის მეგობარს?! 9. —
ვართ!“ — გაისმის ერთხმად. 10. ნანა მოსული
და ნატა ერგემლიძე აქაც არ ივიწყებენ თავიან
ვარელ საქმეს: იხელთებენ თუ არა დროს, ქარგა
ქარგავენ... 11. „ეჰ, კიდევ მომიმატნია წონაში! ვ
უნდა ვუმატო!“



**მამია ჩორგოლაშვილი**

ფოტოები რუბენ აკოფოვისა

გზა წესრიგშია! ნიშანს აძლევს, — ციალა ჟანჩაველი.

# [illegible]

ყოველ პირველ მაისს, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ფოლადის გზაზე, ლოკომოტივი აკივლებდა ხოლმე. პატარა მგზავრების მოლოდინში ჩიბუხივით მაღლა აშვერილი მილიდან ბოლქვებად აფრქვევს ბოლს და სასტვენის ხმაზე, ბავშვებით დახუნძლულ პაწია ვაგონებს გუგუნით გაუყენებს გზას.

ეს გახლავთ ამიერკავკასიის მცირე გზა! თბილისის საბავშვო რკინიგზა.

ალბათ ბევრ თქვენგანს უსეირნია ამ გზაზე, მაგრამ ის კი არ იცის, როდის და როგორ გაჩნდა ამ პარკში ეს კოპწია მატარებელი...

1933 წლის 29 დეკემბერია. თბილისის მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის შესასვლელთან სემაფორი აღუმართავთ. იქვე პატარა ბიჭუნა ტრიალებს, ამ სემაფორის ავტორი, ნორჩი გამომგონებელი ზაქრო ჩხეიძე. იმ დროს მოსწავლე ბიჭუნასთვის ელექტროფიცირებული სემაფორის აგება დიდი გამარჯვება იყო. ამიტომ ნორჩმა გამომგონებელმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. სემაფორთან, სალაროში, გოგონა მიკუნჭულიყო და რკინიგზის ბილეთებს აწვდიდა დარბაზში შემსვლელთ. ესენი იყვნენ თბილისის რკინიგზის სკოლების მოსწავლეები, რომელთაც თავიანთ პირველ შეკრებაზე ამიერკავკასიის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები მოეწვიათ. სწორედ ამ შეკრებაზე წამოაყენეს პიონერებმა საბავშვო რკინიგზის აშენების იდეა. ადგილიც გამონახეს — ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. გადაწყდა აეშენებინათ მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა. შედგა პროექტი. 1934 წელს ეს პროექტი მოიწონა ამიერკავკასიის პოლიტგანყოფილებამ და პიონერულმა ორგანიზაციამ. გზათა-მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა მშენებლობისათვის გამოყო 40 ათასი მანეთი. გზის გეგმარებას თვითონ პიონერები აწარმოებდნენ, ინჟინრების — გორჩაკისა და დიმიტროვის ხელმძღვანელობით.

ხუთასზე მეტი პიონერი და მოსწავლე მოვიდა საბავშვო რკინიგზის მშენებლობაზე. მშენებლები ჩვიდმეტ ბრიგადად დაიყვნენ და წერაქვებმომარჯვებულნი ჩაებნენ შრომის ფერხულში. გზის ტრასაზე მიდიმოდიოდნენ მიწით დატვირთული ურიკები, ჟინები... ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრებოდა, ყველას უნდოდა თავი ესახელებინა ამ სახალისო მუშაობაში. პიონერებმა პარალელურად დეპოსა და სახელოსნოს მოწყობაც დაიწყეს. სახელოსნოში გამართეს სადურგლო, საზეინკლო და სამჭედლო საამქროები. შეიქმნა დამკვრელი ბრიგადა. ამ ბრიგადას ელმავლისა და ვაგონის მოდელები უნდა დაემზადებინა. ბრიგადამ გაორკეცებული ენერგიით იმუშავა: საბავშვო რკინიგზის ინიციატორს — მოზარდმაყურებელთა რუსულ თეატრს არსებობის რვა წლის თავი უსრულდებოდა და პიონერებს უნდოდათ ამ თარიღისა-



თვის პირველი ორთქლმავალი და ვაგონი დაემზადებინათ. ამ ჩანაფიქრს ფრთა შეასხეს თბილისის საფაბრიკო სასწავლებლის მოსწავლეებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა ძველი რკინიგზელი მ. ი. ხაფავა. მართლაც, პიონერებმა 1935 წლის 18 აპრილს ლიანდაგზე შეაყენეს საცდელი ორთქლმავალი. საგამოცდო ლიანდაგი 50 მეტრზე იყო დაგებული. პარკში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. წითელი დროშების ფრიალით მოვიდნენ რკინიგზის სკოლების პიონერები... პატარა ვაგონი ბავშვებით აივსო, მემანქანე მარსაგიშვილმა ორთქლმავალი დასძრა. გაისმა ბავშვების ყიჟინი, ვაშა... მაგრამ ეს იყო დიდი სიხარულის მხოლოდ დასაწყისი. პიონერებმა ლიანდაგი გაადიდეს და ააგეს სადგურები: „პიონერი" და „სიხარული". გზის მშენებლობას სულ 225 დღე დასჭირდა. პიონერული ბრიგადები ჯერ-ჯერით ორ-ორ საათს მუშაობდნენ. და აი, დადგა ნანატრი დღეც!

1935 წლის 24 ივნისს მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა მზად იყო თავისი მგზავრების გასახარად.

აი, როგორ აგვიწერს ამ დღეს გაზეთი „ნორჩი ლენინელი":

„24 ივნისს ს. ორჯონიკიძის სახელობის ბაღში დიდი ზეიმი იყო. პარკში თბილისელი ბავშვები მოსულან და მოუთმენლად ელიან საბავშვო რკინიგზის გახსნას. სადგურ „პიონერის" წინ გაიმართა მიტინგი. პიონერებს საბავშვო რკინიგზა მიულოცა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. ლელინმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წარმომადგენელმა, რუსული მოზარდმაყურებელი თეატრის მუშაკმა, საბავშვო რკინიგზის ტექნიკური პროპაგანდის განყოფილების უფროსმა ამხ. კ. ვაისერმანმა. გაიცა განკარგულება. რკინიგზელი პიონერები თავთავიანთ ადგილებს იკავებენ. სადგურის უფროსებმა სადგურები ჩაიბარეს, მორიგეებმა სამორიგეო ოთახებს მიაშურეს, კონდუქტორებმა — ვაგონებს. სადგურ „პიონერთან" ლიანდაგი გადაღობილია წითელი ლენტით. მატარებელი თანდათან უახლოვდება ლენტს და, აჰა, გაწყვიტა კიდეც! იგრიალა ტაშმა. გზა გახსნილია..."

იმავე წლის 20 სექტემბერს საბავშვო რკინიგზის ნორჩ მშენებელთა დელეგაცია საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს ეწვია. დელეგაციაში შედიოდნენ: პავლე ასლანიდი (გზის უფროსი), ვიტია სოკოლსკი (გზის უფროსის მოადგილე), კირა პაპიტაშვილი (გზის პოლიტგანყოფილების უფროსი) და სხვები. ამ შეხვედრაზე მათ სასიხარულო ამბავი შეიტყვეს — მშენებლობის ენთუზიასტი პიონერები მოსკოვში იყვნენ მიწვეულები. მართლაც 1935 წლის 4 ოქტომბერს საბავშვო რკინიგზის მშენებელი პიონერები გზათა-მიმოსვლის სახალხო კომისარს ეწვივნენ. მშენებლობის შესახებ სახალხო კომისარს ინფორმაცია მოახსენა საბავშვო რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა კირა პაპიტაშვილმა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა თბილისის საბავშვო რკინიგზის მეორე რიგის მშენებლობა. ერთი წლის თავზე ნორჩმა მშენებლებმა გზათა-მიმოსვლის სახალხო კომისარს პატაკი გაუგზავნეს. პატაკში პიონერები პირობას დებდნენ, რომ იქნებოდნენ მაგალითის მიმცემნი სწავლასა და შრომაში, ვადაზე ადრე დაამთავრებდნენ გზის მეორე რიგის მშენებლობას. ნორჩ რკინიგზელთა სახელით პატაკს ხელს აწერდა გზის უფროსი პავლე ასლანიდი. 1935 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის ტრანსპორტის ინსტიტუტმა, წითელდროშოვანი სამშენებლო ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით, შეფობა გაუწია საბავშვო რკინიგზის მეორე რიგის მშენებლებს. ფაკულტეტმა გამოჰყო კომისია, რომელმაც ნორჩ მშენებლებთან ერთად დაათვალიერა სამშენებლო უბანი. შეიმუშავეს გეგმა. მეორე რიგის სამუშაოები ითვალისწინებდა მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის ნაკვეთზე ლიანდაგის დაგებას 600 მეტრზე და კიდევ ერთი სადგურის დამატებას. გეგმა განიხილეს თბილისის საქალაქო კომიტეტში, მოიწონეს და იმავე დღი-



გამყოლი გია ლაგაძე

პირველი მემანქანე ვიტია სოკოლსკი

სადგურის მორიგე მატარებელს ამგზავრებს!

მეისრე — ვოვა სლატინსკი.

ციალა მინდიაშვილი და ნინა კასუმოვა ახალ ვაგონებზე ბუფერებს ამაგრებენ.









თბილისის საბავშვო რკინიგზის პირველი გზის უფროსი, ამ სურათზე უკვე გაზეთ „გუდოკის“ კორესპონდენტი პავლე ასლანიდი, ესაუბრება ნორჩ რკინიგზელებს.

დან შეუდგნენ მშენებლობას. ერთი წლის შემდეგ ეს უბანიც მწყობრში ჩადგა...

საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორს მ. რუსლანოვს, სამხატვრო ხელმძღვანელს მ. მარშაკს, კ. ვაისერმანს და გამოცდილ რკინიგზელებს: ა. კულიევს, ზ. კალანდიას, დ. ბიჩარევს, მ. ხაფავას და სხვებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საბავშვო რკინიგზის მშენებლობას. ხოლო ნორჩი მშენებლების დასაჯილდოებლად გამოჰყო 3000 მანეთი. ტექნიკის დაუფლების საზოგადოების საგზაო პრეზიდიუმმა საზოგადოების სამკერდე ნიშნებით და „საუკეთესო დამკვრელის“ სიგელებით დააჯილდოვა რკინიგზის № 11 სკოლის მოსწავლეები პავლე ასლანიდი, შალვა ხორგუაშვილი, ზაქრო ჩხეიძე, თამარ მურადოვა, ლიზა სოკოლოვსკაია, ვიტია სოკოლსკი და სხვები.

მსოფლიოში პირველმა საბავშვო რკინიგზამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის მოსწავლე პიონერებში. ყველას აღეძრა სურვილი, ჰქონოდათ „საკუთარი რკინიგზა“. დეპეშა დეპეშაზე მოდიოდა მოსკოვიდან, კიევიდან, ერევნიდან, ტაშკენტიდან... ნორჩი პიონერები „ვეტერანებს“ გამოცდილების გაზიარებას სთხოვდნენ.

ფრანგი ჟურნალისტი ქალი დენოზ მირა აღფრთოვანებული წერდა შთაბეჭდილებათა წიგნში: „ვაშა პატარა მეგობრებს! მე ძალიან მინდა ვიქცე 14 წლის ქართველ გოგონად, რათა ვიმგზავრო ამ ულამაზესი მატარებლით. მე მინდა შევასრულო რაიმე სამუშაო და ვატარო ლურჯი ბერეტი“.

გავიდა 32 წელი მას შემდეგ, რაც პირველად გადასერა სივრცე მსოფლიოში პირველმა საბავშვო მატარებელმა. პირველი ორთქლმავალი 1960 წლამდე პატიოსნად და დაუზარებლად ემსახურა თავის პატარა მგზავრებს და ახლა დამსახურებულად შედგა სამუზეუმო რელსებზე. დღევანდელ, ახალ ორთქლმავალს ლამაზი ასოებით აწერია: „მშვიდობა მსოფლიოს“, გზას უნათებს მწვანე შუქნიშანი და ისიც გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მშვიდობიანი გზით ატარებს ჩვენს ბედნიერ ბავშვებს. საბავშვო რკინიგზის მომავალ პერსპექტივებზე კი სიტყვა დავუთმოთ საბავშვო რკინიგზის უფროსს ქ. შენგელიას:

საბჭოთა კავშირის გზათა-მიმოსვლის სამინისტრო 33 საბავშვო რკინიგზას აერთიანებს. აქ ნორჩი რკინიგზელები ღებულობენ პოლიტექნიკურ მომზადებას და ეუფლებიან რკინიგზის ტრანსპორტის სხვადასხვა პროფესიას. ჩვენი საუკუნე არის კიბერნეტიკის, ატომური ენერგიისა და კოსმოსის ათვისების საუკუნე, ამიტომ ახლანდელი თბილისის საბავშვო რკინიგზის სასწავლო ტექნიკური ბაზა უკვე არ არის საკმარისი. ამის გამო, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ და თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება აშენდეს თანამედროვე საბავშვო რკინიგზა თბილისის ახალ დასასვენებელ პარკში, რომელიც გათვალისწინებულია გაშენდეს მდინარე ვერეს ხეობაში. თანამედროვე საბავშვო რკინიგზას ეყოლება ულამაზესი თბომავალი, კომფორტაბელური ვაგონები. ნორჩი რკინიგზელების განკარგულებაში იქნება სასწავლო-ტექნიკური ლაბორატორიები და კლუბები: კიბერნეტიკის ლაბორატორია, ნორჩი კოსმონავტების კლუბი, იმუშავებს საკუთარი რადიოტელეცენტრი. სიგნალებისა და ისრების ცენტრალიზაცია, რაც განზრახულია ახალ საბავშვო რკინიგზაზე, სადგურის ნორჩ მორიგეებს გაუადვილებს მარშრუტის დამზადებას და უზრუნველყოფილი იქნება მატარებლების უშიშარი მოძრაობა; თუ ნორჩი მემანქანე ყურადღებას არ მიაქცევს ამკრძალავ სიგნალს, სალოკომოტივო ავტოსდექი თავისით მოვა მოქმედებაში. დამყარდება ავტობლოკირება და რადიოკავშირი დისპეტჩერსა და მემანქანეს შორის, რაც ხელს შეუწყობს მატარებლების მოძრაობას განრიგებით. და აი, სულ მალე ახალ საბავშვო რკინიგზაზე, ყოველ გაზაფხულს, აყვავებული ხეხილის ქვეშ გაიშლება ნორჩი რკინიგზელების ბანაკი, სადაც, დასვენებასთან ერთად, გაივლიან საგაზაფხულო პრაქტიკულ მეცადინეობას.

თბილისის საბავშვო რკინიგზამ არა ერთი და ორი ღირსეული ადამიანი გამოზარდა, რომელთაც ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საკმარისია გავიხსენოთ საბავშვო რკინიგზის პირველი გზის უფრო-



პიონერები: ეთერ კობიაშვილი, ლუბა ჟდანოვა, და სერგო ავეტისიანი აწყობენ ახალ ვაგონს.

სი პავლე ასლანიდი — დღეს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორი. საბავშვო რკინიგზაზე აღიზარდნენ რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ე. კობიაშვილი, ცნობილი ჟურნალისტი ვ. ორჯონიკიძე, კინოდრამატურგი ან. გრებნევი, მეცნიერმუშაკი ვ. დებიუკი, რკინიგზის ხიდების მშენებელი ინჟინერი ალ. ლულოვი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი — ალ. ზედგინიძე; ზაქრო ჩხეიძე და კირა პაპიტაშვილი კი სამამულო ომში დაიღუპნენ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მათ დაუვიწყარ მოგონებად დარჩათ საბავშვო რკინიგზაზე „მუშაობის" ხალისიანი დღეები.

აი, როგორ იგონებს საბავშვო რკინიგზაზე გატარებულ დროს ახალგაზრდა მემანქანე ბაიოზ იაკობიძე:

„თუ კი რამ ჩემში კარგია, თუ კი მე ჩვენი ხალხის პატიოსანი მსახური ვარ, საბავშვო რკინიგზას უნდა ვუმადლოდე.

საბავშვო რკინიგზა გახდა ჩემი მეორე ოჯახი. ავივსე სითბოთი, ყურადღებით, ნდობით და პატივისცემით. აქ ანთებულმა შრომის ენთუზიაზმმა ჭაბუკური ოცნებანი აგვიშალა და გვიბიძგა ძიებისაკენ... შემიყვარდა ეს საქმე და საბავშვო რკინიგზიდან დიდ რკინიგზაზე გამოვედი. მე სიამაყით ვატარებ რკინიგზელის საპატიო სახელს".

მალე ჩვენი ნორჩი პიონერები ახალი რკინიგზის აშენებაშიც გაიღებენ თავიანთ წვლილს და კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს ჩასწერენ პიონერიის სახელოვან ისტორიაში.






1894 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 52) დაიბეჭდა უცნობი ქართველი მწერლის მოთხრობა „ხანჯალი", რომელსაც ხელს აწერს ვინმე „არა-მწერალი". აქ მოთხრობილი ცხრა-ათი წლის ქართველი ბიჭის ამბავი უმალ გახმაურდა. ეს პატარა მოთხრობა ითარგმნა რუსულ და ფრანგულ ენებზე და დაიბეჭდა. აი, რას იუწყებოდა „ივერია" (1894 წ. № 95): „ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მოთხრობა „არა-მწერლისა" „ხანჯალი", რომელიც შემდეგ „ნოვოე ობოზრენიეშიაც" დაიბეჭდა ბ-ნ-ზ-მ — ფსევდონიმით რუსულ ენაზე, ფრანგულად გადაუთარგმნიათ და დაბეჭდილა ბუდაპეშტის გაზეთ „რევიუ ორიენტალის" უკანასკნელ ნომერში".

რა თქმა უნდა, რუსი და ევროპელი მკითხველი დააინტერესა ამ მოთხრობის შინაარსმა, მისმა მნიშვნელობამ და ამიტომაც იგი ასე სწრაფად თარგმნეს თავიანთ ენებზე.

ვფიქრობთ, ამ მოთხრობას სიამოვნებით წაიკითხავთ და ჩაუფიქრდებით თქვენც, „პიონერის" მკითხველები.

ვახტანგ სიდამონიძე.

მოხდება ხოლმე ადამიანის სიცოცხლეში ისეთი შემთხვევა, რომელიც, რაც უნდა ქორფა ყმაწვილი ყოფილიყო, სიკვდილამდე არ დაავიწყდება.

ვიქნებოდი ასე ცხრა-ათი წლისა, მამაჩემმა რომ პირველად ხანჯალი მაჩუქა. ადვილად წარმოიდგენთ იმ აღტაცებულ სიხარულს, რომელიც შემიდგა მე ამის გამო.

წამდაუწუმ, ვითომც შემთხვევით, და არა განგებ, ავუვლიდი და ჩავუვლიდი სარკეს და ხანჯლის ტარზე ხელმოკიდებული, როგორც ნამდვილი ჩერქეზი, გამოვიჭიმებოდი ხოლმე სარკის წინ (ჩვენი ნათესავთაგანი ჩერქეზნი მრავალნი ესტუმრებოდნენ ხოლმე მამაჩემს).

ქალები იტყვიან ხოლმე, რომ ბავშვნი აღარა ვართო იმ დღეს, რა დღესაც პირველად თავს დაიხურავენ, ან გრძელ კაბას ჩაიცვამენ. მე კი, როგორც ვაჟმა, ხანჯლის წელზედ შემოკვრა სიამაყით და სიხარულით მივიჩნიე იმის დამტკიცებად, რომ უფროსებმა მიცნეს ღირსად საჭურველის ტარებისა და შემრიცხეს ვაჟკაცთა რიცხვში. თუმცა მეც, ჩემი მხრით, ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი, რომ თავი ისე დამეჭირა, როგორც შეჰფეროდა ნამდვილ ვაჟკაცს. მაგრამ ნათქვამია: „წყალი მიდგება-მოდგება და ნაგუბარში ჩადგებაო". ჩემმა ვაჟკაცის შესაფერმა თავის დაჭერამაც დიდი ხანი არ გასწია: მალე დავივიწყე, რომ ხანჯალი წელზედ მეკრა და ისევ დავიწყე ცხრა-ათი წლის ბავშვის შესაფერი სიცელქე.

ერთხელ ისე მეტისმეტად ავცელქდი, რომ ერთი ჩვენი მოახლეთაგანი მოთმინებიდან გამოვიყვანე.

„დაწყნარდი, დაწყნარდი, შე მოუსვენარო ცელქო, — შემომიტია მოახლემ—გრცხვენოდეს, ვაჟო ხანჯლიანო; შენი სიცელქე ცინგლიანი ბავშვის სიცელქეა".

ამ დაცინვამ, ძლიერ კარგად მახსოვს, საშინლად შემაწუხა. ვიგრძენ სიმართლე ჩემდამი მომართული სიტყვებისა, მოვინდომე ჩემი სიცელქე ხუმრობაში გამეტარებინა და,

რათა დამემტკიცებინა, რომ ცინგლიანი ბავშვი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი ვარ მეთქი, ვიშიშვლე ხანჯალი და ღიმილით გავექანე გოგოსაკენ. ამ დროს, არ ვიცი, როგორ და საიდან, ჩემსა და გოგოს შუა გაჩნდა (თითქოს ეხლაც თვალწინ მიდგას) წარბშეკრული, განრისხებული მამაჩემი და არ გაიარა ერთმა წამმა—ვიგრძენ ლოყაზე ერთი კარგი, ლაზათიანი, გამომაფხიზლებელი წკაპანი.

— შე საძაგელო, ბედკრულო! ვის გაუგონია დედაკაცზე ხანჯლის ამოღება? ვისა?! ფუ, შეგირცხვეს ნამუსი! ჰოდა, ჰა! — დაუმატა სილას მამაჩემმა.

— ვხუმრობდი, მე... — მხოლოდ ამის წარმოთქმა შევსძელ და მოვრთე ტირილი.

— ხუმრობდი?! ხუმრობა საჭურველით?! შემოიხსენი ეხლავე ხანჯალი! — მიბრძანა მამაჩემმა და აღარ მაცალა, რომ მე თვითონ მომეხსნა, მომწვდა და ჩამომწყვიტა.

— შენ ჯერ ხანჯლის ყადრი არა გცოდნია, ღირსი არა ყოფილხარ მისი ტარებისა! — დაუმატა მამაჩემმა და ტახტისკენ გასტყორცნა ხანჯალი.

ამ დროს იქ დაესწრო მამაჩემის და ერთობ ჩვენი ოჯახის ერთგული მოსამსახურე ანდრია, ის ანდრია, რომელიც სიყრმითვე აღზრდილიყო ჩვენს სახლში, დამსწრე იყო ჩვენი ოჯახის ყოველი ლხინისა და ჭირისა, აჩრდილი მამაჩემისა.

— აპატიე, ბატონო, —კრძალვით გაუბედა მან მამაჩემს, — ბალღია, ჯერ არ იცის ხანჯლის პატივი!

— აბა, კიდევაც ეგა მკლავს, რომ მეტისმეტად დავიწყებული შეიქნა ეხლანდელ დროში პატივი ამ წმინდა საჭურველისა, და შენთვის, ანდრიავ, წაქეზება მოუფიქრებლად საჭურვლის ხმარებისა ვისგანმე. სირცხვილი უნდა იყოს! ღვთისაგან დალოცვილი, რომლითაც ჩვენთა წინაპართ სახელი ამაღლებული იყო, ეხლანდელ დროში შეიქნა იარაღად და ღონისძიებად იმგვარი უსამართლობისა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მამა-პაპათა წარსულ საქმეებთან. მეტად გამრავლდა სიმდარება, რომელსაც არა აქვს გაგება იმისა, თუ რაშია მოვალეობა ან მეგობრობისა ან ცოლშვილისა, ან ერთგული მამულიშვილისა. ხოლო



## ბულბული

არ არსებობს ისეთი ფრინველი, რომელიც რაიმე ხმას არ გამოსცემდეს — ან არ ჭიკჭიკებდეს, ან არ სტვენდეს და ა. შ. მაგრამ ადამიანის სმენის დამტკბობი გალობის უნარით ბუნებას ფრინველთა მხოლოდ რამდენიმე სახეობა და ისიც — მხოლოდ მამლები დაუჯილდოვებია.

ზოგიერთი ფრინველის სტვენა თითქოს ახლო დგას ისეთ ბგერებსა და სიტყვებთან, რომლებსაც ჩვენ, ადამიანები, ვხმარობთ. აი, როგორ გადმოგვცემს ფრინველთა ცხოვრების კარგი მცოდნე ა. პრომპტოვი ჯიჯღას ანუ წრიპას მკაფიო და ტკბილ გალობას:

...ფი-ლიპპ, ფი-ლიპპ, ფი-ლიპპ.

პრი-დი, პრი-დი, პრი-დი,

ჩაი-პიტ, ჩაი-პიტ, ჩაი-პიტ,

ვიპიომ, ვიპიომ, ვიპიომ, ვიპიომ...

მგალობელ ფრინველთა მეფედ ადამიანმა უხსოვარ დროიდანვე ბულბული აღიარა. მსოფლიო პოეზიაში, განსაკუთრებით აღმოსავლურში, დიდად არის შექებული ბულბული თავისი საოცრად გრძნობიერი გალობის გამო. ბევრ კომპოზიტორს უცდია, მუსიკალურ ნაწარმოებში გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანჯალი, რომლითაც ვიცავდით უმანკოებას, სიწმინდეს ჩვენი ოჯახისასა და სახელისასა, ამოღებულია მათზედ, რომელთა დასაცავად გაჩენილ არის იგი ღვთისაგან. საბრალო ლაჩარნი, რომელნიც მამა-პაპის მიერ სისხლითა და ოფლით შეძენილი ქონების შეჭმასა და გაფუჭებაში ხედავენ მხოლოდ თავისი სახელის და პატიოსნების დიდებასა, საბუთად, დასამტკიცებლად თავიანთი ცრუ პატიოსნებისა, ხმარობენ მხოლოდ ხანჯალსა. მაღალ აზრთა მოკლებულნი, დასაცავად მხოლოდ მიკიტნის შესაფერი აყინებისა, ხმარობენ ხანჯალს და მისი ამოღება უადვილდებათ უფრო მაშინ, როდესაც შეატყობენ, რომ მათი წინააღმდეგნი ეკუთვნიან მათსავე ლაჩართ გმირთა რაზმსა.

ჩემო ანდრიავ, ჩვენც ხომ განუშორებლივ ვატარებთ ხანჯალს. ძილის დროსაც კი თავით ვიდებთ ხოლმე. და დღესაც, რათა დავიცვათ სიწმინდე ჩვენთა მამა-პაპათა ჩვეულებისა და წესისა, არა ვტოვებთ ძველებური ლაშქრობის ჩვეულებასა. მოატანს თუ არა შუაღამე, ვტოვებთ ტკბილ ძილსა და აღჭურვილნი თოფ-იარაღითა, გარს შემოვუვლით ხოლმე ჩვენს კარმიდამოსა. მაგრამ, აბა ერთი მითხარი, ბევრჯელ ამოგვიღია ჩვენს სიცოცხლეში ქარქაშიდან ხანჯალი? ხანჯალ-წელზეშემოკრულნი დავიბადენით, ხანჯალწელზეშემოკრულნი მოვხუცდით და აი. აგერ ერთი ფეხი სამარეში გვიდგა და, მაშ ლაფი გვესხას ამ ჩვენს გათეთრებულ თავზედ, თუ ხანგრძლივ ლაშქრობაში გატარებულ ჩვენ სიცოცხლეში, ისე ხშირად გვეხმაროს ხანჯალი, როგორადაც ხშირად ხმარობენ ეხლანდელი ძუძუმწოვარა ლაწირაკნი...

— ღვთის მადლმა, მართალსა ბრძანებ, ბატონო, — მიუგო ანდრიამ მამაჩემს.

— ნუთუ, — განაგრძო მამაჩემმა, — ქარქაშიდან ადვილად ვისგანმე ამოღება ხანჯლისა ჩაითვლება მის ვაჟკაცობად?! არასოდეს.

— ვინ მისცა, — განაგრძო მეტის გრძნობით მამაჩემმა, — საბრალო ლაჩარს მოსაზრება, თუ რა დროს არის ხანჯლის ხმარება მისთვის სასახელო და რა დროს — თავზედ ლაფის დასხმა! აი, ამის გამო ამგვარნი ვაჟბატონები აჩრდილზედაც კი იშიშვლებენ ხოლმე ხანჯალსა. და ისინი, ვისაც საგნად თავისი სიცოცხლისა მიაჩნიათ მხოლოდ თავისი პირუტყვული მოთხოვნილების შესრულება, მუდამ არიან გაუბედავნი, მხდალნი თავისი პატიოსნების დაცვისა და განწირვის დროს. და აი, როდესაც ამოდენა ნამდვილი და პატიოსანი ვაჟკაცნი, ნამდვილ გმირთა შესაფერი სიმტკიცით იცავენ თავის სამშობლოს და თავის პატიოსნებას და ხანჯლის ხმარება მიაჩნიათ მხოლოდ ერთ უკანასკნელ, აუცილებელ საშუალებად, სახელი და გვარი ამ პირველთა ვაჟბატონთა გარეულა ხოლმე, მთელი ჩვენი ერისა და ქვეყნის სამარცხვინოდ, ყოველგვარ საზიზღარ სისხლის საქმეებში.

ეხლა ის დრო აღარ არის, ჩემო ანდრია, როდესაც გუთნისდედას ერთ ხელში გუთანი ეჭირა და მეორეში თოფ-იარაღი; ხანჯალმაც, რასაკვირველია, ადგილი უნდა დაუთმოს იმ ღონისძიებას, რომელიც იხმარება სიმშვიდის დროს; თუმცა-კი როგორც სახსოვარი მამა-პაპათა წარსულ დიდებისა და წმინდა ნაწილი, რომელსაც ვერ მოეცხება ჩირქი ბოროტმოქმედის ხელის ხმარებით, ის უნდა უმშვენებდეს წელს შთამომავალს.

ანდრია იდგა უძრავად და, ეტყობოდა, სმენად იყო გადაქცეული.

თუმცა პატარა ვიყავი, მაგრამ მეც გამიტაცა მამაჩემის ლაპარაკმა და თითოეული მისი სიტყვა გულში მწვდებოდა.

— სწორედ, სწორედ, — განაგრძო ლაპარაკი ეშხში შესულმა მამაჩემმა, — დედის ძუძუსთანავე უნდა ჩაეწვეთოს ადამიანს ის ჭეშმარიტება, რომ საძირკვლად კეთილი წესწყობილებისა ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება მხოლოდ პატიოსნება, რომლის არსებობაც ისევე სამარადისო და შეუცვლელია, როგორც სამარადისო და შეუცვლელია თვით ღმერთი. და აი, ვღირსვყავ უმაღლესი პატივისა, ნება ვუბოძე ამ ჩემს შვილს ჩემი მამა-პაპის ტანისამოსის ჩაცმისა და არა მსურს, რომ მან, მტერთა გასახარებლად, შეარცხვინოს ეს ტანთსაცმელი მისი საუკეთესო სამკაულის, წმინდა ხანჯლის უგუნურად და მოუფიქრებელ ხმარებითა.

არ გაუვლია დიდხანსა და მე ისევ-ისე მებოძა ხანჯალი, მაგრამ მოხუცებულის მიერ წარმოთქმულობის ძვალსა და რბილში გამჯდარმა აზრმა დიდად იმოქმედა ჩემს ჩვილ, განურყვნელ, ალღოიან ბუნებაზედ.

და აი, აგერ ორმოც წელიწადს გადავაბიჯე და თუმცა, როგორც მონადირეს, ხშირად მაქვს ხოლმე შემთხვევა თოფ-იარაღის ტარებისა, მაგრამ რაღაც მოწიწებასა, შიშსა და კრძალვას ვგრძნობ დაშლილი თოფის წმენდის დროსაც კი. აგრეთვე დიდ ზნეობრივ შეურაცხყოფად მიმაჩნია ხანჯლებით ლეკურის თამაში, რადგანაც არავითარი კავშირი არ არის მშვიდობიან, სინარნარით სავსე ლეკურის თამაშობასა და ბრძოლის იარაღის, მშვენებით მოელვარე ხანჯალს შორის.

**არა-მნერალი.**

---

მოეცა ამ ფრინველის გალობა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერავის მოუხერხებია უნაკლოდ. ერთმა ნატურალისტმა სცადა ადამიანური ბგერებით გადმოეცა ბულბულის გალობა:

ფი-ტიუ, ფი-ტიუ, ფი-ტიუ.
სპრეტიუ-ცკვა,
კვერრეკ, პი-პი...
კიტიუ, კიტიუ, კიტიუ.
ცკვო, ცკვო, ცკვო, ცკვო.
ცი-ცი ცი-ცი-ცი...
კვერრეკ-ტიუ-ცკვია-პი-პი-პი...

ცხადია, აქ მხოლოდ მიახლოებითაა გადმოცემული ბულბულისეული ბგერები.

ბულბული პატარა ზომის ფრინველია, იკვებება მწერებით, გავრცელებულია აზიაში, ევროპასა და აფრიკაში. ჩვენში იგი გაზაფხულზე მოფრინავს. ბინადრობს ტყეში, ჭალაში, ბუჩქნარში, ბაღში... შემოდგომის დადგომისთანავე მიფრინავს თბილ ქვეყნებში, განსაკუთრებით — აფრიკაში.

ყველა ბულბული ერთნაირი ოსტატობით როდი გალობს. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ იაკობ გოგებაშვილი თავის ,,დედა-ენაში":

,,გაზაფხულზე ჯერ მოფრინდებიან მამალი ბულბულები და იწყებენ გალობაში შეჯიბრებას. ეს იმიტომ, რომ დედალი ბულბულები, რომლებიც მერე მოფრინდებიან ხოლმე, უმეგობრდებიან კარგად მგალობელ ბულბულებს. ამიტომ, თუ ბულბული ცუდად გალობს და არ მოეწონათ დედალ ბულბულებსა — მთელ ზაფხულში დარჩება უცოლშვილოდ".

გალობის დროს ბულბულს თვალები დახუჭული აქვს. სწორედ ამ დროს ეპარებიან მას კატა, ბუ, ლაჟო და სხვა მტაცებლები.

# სამი ყრუ

ჰანს შუცი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

სოფლის მახლობად მწყემსი ცხვარს აძოვებდა. შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. ბინიდან სადილის ამოტანა დაუგვიანეს და მწყემსს ძალიან მოშივდა. ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო: თვითონ რომ წასულიყო სოფელში, ცხვარი დაიფანტებოდა ან მგელი დაეცემოდა. შიმშილი კი უფრო და უფრო უძლიერდებოდა.

უცებ, მწყემსმა იქვე ახლოს მთიბავი დაინახა. მივიდა მასთან და თავაზიანად სთხოვა:

— კეთილო ადამიანო, ცოტა ხანს ცხვარს მიმიხედე. მე სოფელში ჩავირბენ, ვისადილებ და ხელად დავბრუნდები.

მწყემსი ყრუ იყო. ყურთან ზარბაზანი რომ დაგეცალა, იმასაც ვერ გაიგონებდა. ჰოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, მთიბავიც ყრუ აღმოჩნდა. ვერ გაიგო, რა უთხრა მწყემსმა; ეგონა, ალბათ მლანძღავს, აქ რომ ვთიბავო.

— შენ ვინ გეკითხება ამ ბალახს! მაშ, ძროხას მშიერს ხომ არ დავტოვებ! აბა, მოუსვი აქედან! — დაუღრიალა მთიბავმა მწყემსს და გზისკენ მიუთითა.

მწყემსმა იფიქრა: ალბათ ამას მეუბნება: დარდი ნუ გაქვს ყველაფერი რიგზე იქნება, შეგიძლია შინ მშვიდად წახვიდეო, და ისიც გზას გაუდგა.

შინ რომ მივიდა, მწყემსმა თავის ზარმაც ქალიშვილს უსაყვედურა, სადილი რატომ არ მომიტანეო. მერე სწრაფად ისადილა და ისევ მინდორში დაბრუნდა.

ცხვრები როგორც დატოვა, ისე დახვდნენ. ერთიც არ აკლდა.

„რა კარგი კაცი ყოფილა", — გაიფიქრა მწყემსმა მთიბავზე და გადაწყვიტა სიკეთისათვის დაესაჩუქრებინა.

ფარაში ერთი კოჭლი, მაგრამ მსუქანი ბატკანი ჰყავდა, დაიჭირა ეს ბატკანი, მიჰგვარა მთიბავს და უთხრა:

— დიდი მადლობელი ვარ, მეგობარო, ცხვარს რომ მიმიხედე. აჰა, გასამრჯელოდ ბატკანი ინებე. მართალია, კოჭლია, სამაგიეროდ, ხედავ, რა მსუქანია!

ცხადია, ყრუ მთიბავმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო. ეგონა, ეს კაცი ბატკნის დაკოჭლებას მე მაბრალებსო და გაბრაზებულმა დაუყვირა:

— რა ჩემი ბრალია, შენი ბატკანი თუ დაკოჭლდა? შენი ცხვრებისა რაში მეკითხება მე?!

და, რადგან არც მწყემსს ესმოდა მისი სიტყვები, მან კიდევ თავის მხრივ გაიფიქრა, რა თავმდაბალი და მორიდებული ადამიანია, საჩუქარზე უარს ამბობსო. მწყემსი ძალას ატანდა, გინდა თუ არა, საჩუქარი მიიღეო; მთიბავს კი ეგონა, ბატკნის დაკოჭლებას მაინც და მაინც მე მაბრალებსო და განრისხებულმა სილა გააწნა.

ნამდვილი ცემა-ტყეპა ატყდებოდა, რომ ამ დროს გზაზე მხედარი არ გამოჩენილიყო. მწყემსმა და მთიბავმა მხედარს აღვირზე ხელი უტაცეს და თითქმის ერთბაშად შესძახეს:

— კეთილო ადამიანო, ცოტა ხანს შეჩერდი და გაარკვიე, რომელია ჩვენში მართალიო.

მერე უამბეს, რაც მოხდა.

აი, საოცრება! მხედარიც ყრუ აღმოჩნდა. ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო. მომჩივნები კი მოუთმენლად ელოდნენ მის განაჩენს.

— გამოგიტყდებით, რომ ეს ცხენი ჩემი არ არის, — თქვა ბოლოს მხედარმა, — გზაში ვიპოვე და, რადგან ძალიან მეჩქარებოდა, შევჯექი. თუ თქვენია, წაიყვანეთ, არა და, ჩემს გზაზე გამიშვით, გაჩერების დრო არა მაქვს.

მწყემსსა და მთიბავს ცალ-ცალკე ასე ეგონათ: მხედარი მე მამართლებსო და, ერთმანეთისათვის ნიშნისმოსაგებად კიდევ უფრო მეტი ყვირილი ატეხეს. მაგრამ ურთიერთისა არა ესმოდათ რა.

ამ დროს გზაზე ერთი დარბაისელი კაცი გამოჩნდა. თავის მძინარა



ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხეპრე ვაჟიშვილს გამორიდებოდა. სამივენი გარს შემოეხვივნენ მას და გულახდილად უამბეს ყოველივე. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, — ის დარბაისელი კაციც ყრუ გამოდგა.

— ვიცი რაც გსურთ, — თქვა მან, — თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ჩემს ოჯახში დავბრუნდე. არა, არაფრის გულისთვის არ დავბრუნდები, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. მირჩევნია სადმე ღია ცის ქვეშ ამომხდეს სული, ვიდრე ჩემს უქნარა შვილს ვუყურო.

აყალმაყალმა კიდევ უფრო იმატა. ყველა ერთად ყვიროდა და ხელებს იქნევდა, ერთი მეორეს ამტყუნებდნენ და ერთმანეთს ერთ სიტყვასაც ვერ აგებინებდნენ.

ამასობაში მზე უკვე ჩასულიყო. მწყემსმა ცხვრის ფარა შინისკენ გაირეკა. მთიბავსაც თავისი ძროხა გაახსენდა, ერთი ბლუჯა თივა ამოიღლიავა და სახლისკენ გასწია. მხედარმა ცხენი გააჭენა, დარბაისელმა კაცმა თავი გააქნია და გზა განაგრძო.

. . .

ასე დამთავრდა ეს ამბავი და მინდა, ჩემო პატარა მეგობრებო, მას კარგად ჩაუფიქრდეთ.

გულახდილად რომ ვთქვათ, ზოგჯერ თქვენც ამ ოთხ ყრუსავით იქცევით: მშობლები, უფროსები, მასწავლებლები რომ გელაპარაკებიან, თქვენ ამ დროს სხვა რამეზე ფიქრობთ და ერთი სიტყვაც არ გესმით. ან როცა რამეზე დაობთ, ყველანი ერთად ყვირით და ერთიმეორეს ყურს არ უგდებთ.

დიახ, დიახ, ასეთი რამ გემართებათ ხოლმე, თუმცა შესანიშნავი ყურთასმენა კი გაქვთ.

**გერმანულიდან თარგმნა**
**შ. ამირანაშვილმა.**



# ჩვენი წიგნები

## აბრაამ ლინკოლნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ პრეზიდენტის (1861—65) აბრაამ ლინკოლნის სახელი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. მისი პიროვნება თითქმის მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იდგა. ამიტომაც ქლერს ბუნებრივად ნაწარმოებში აღწერილი ერთი ფაქტი: დიდი რუსი მწერალი ლ. ტოლსტოი კავკასიაში მოგზაურობისას სტუმრად ეწვია ჩერქეზთა ბელადს, რომელიც მაღალ მთებში ცხოვრობდა და მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. მასპინძელმა სტუმარს სთხოვა, უცხო ქვეყნებზე მითხარი რამეო, თან მეზობლებს უხმო — ტოლსტოის მოუსმინეთო. ნახევრად ველური ჯიგიტები სოხანეზე ჩამოსხდნენ და ყურადღება დაძაბეს. ტოლსტოი ყვებოდა რუს მეფეებზე, ომებზე, უცხო ქვეყნების მმართველებსა და სარდლებზე. სტუმარი ყვებოდა ყველაფერს, რაც კი იცოდა, მაგრამ მათი ცნობისმოყვარეობა მაინც ვერ დააკმაყოფილა. ბოლოს, ტომის ბელადი, მაღალი, თეთრწვერა მხედარი, რომელსაც ტყავის, ცხენისა და მიწის სუნი უდიოდა, ფეხზე წამოდგა და თქვა: „ჯერჯერობით არაფერი გითქვამთ მსოფლიოში ყველაზე დიდ მმართველსა და სარდალზე. იგი ხომ ნამდვილი გმირი იყო. მისი ხმა მეხივით ჭექდა, ღიმილი მზის ამოსვლას მიუგავდა, მის გაკეთებულ საქმეს კლდის სიმაგრე და ვარდის სურნელება ჰქონდა“.

აბრაამ ლინკოლნმა ცხოვრების მწარე გზა განვლო. მან მთელი სიმწვავით იგემა კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი სოციალური უკუღმართობის ყოველგვარი სიავე. ცხოვრების ღრმა გამოცდილებამ, მისმა მწარე გაკვეთილმა ნათელმხილველი თვალით ჩაახედა იგი უბრალო, მშრომელი ადამიანის სულიერ სამყაროში.

ლინკოლნის პრეზიდენტობის ხანა დემოკრატიული სულისკვეთებისა და ჰუმანისტური იდეების ნამდვილი ზეიმი იყო. მან ენერგიულად მიმართა მახვილი სოციალური უკუღმართობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. „მამა ლინკოლნი“ — ასე უწოდებდნენ მას ზანგები.

სახელმწიფოს პოლიტიკური, კულტურულ-მატერიალური სიმტკიცე და საერთაშორისო ავტორიტეტი — აი, საით იყო მიმართული ლინკოლნის მთელი ენერგია და გამჭრიახი გონება.

ამერიკელი მწერლის **კარლ სენდბერგის** ბიოგრაფიული რომანი „ლინკოლნი“ ფართოდ გვაცნობს ამ ლეგენდარული ადამიანის ცხოვრებას, მაშინდელი ამერიკის იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ლინკოლნის მოღვაწეობასთან.

„ლინკოლნი“ ერთ-ერთი პოპულარული ბიოგრაფიული რომანია. იგი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

## პატარა ველურები

წიგნში „პატარა ველურები“ კანადელი მწერალი **ე. სეტონ-თომპსონი** წარმტაცად მოგვითხრობს თავისი ბავშვობის რამდენიმე ეპიზოდს. ამ წიგნიდან ბევრ საინტერესო ამბავს ამოიკითხავთ. როგორ გავმართოთ ინდური კარავი? როგორ დავანთოთ ცეცხლი უასანთოდ? როგორ გავიგნოთ გზა ტყეში უკომპასოდ? რა ფოთლებიდან, ბალახიდან და ნაყოფიდან შეიძლება წითელი, ყვითელი ან შავი საღებავის მიღება?—ამ და კიდევ სხვა მრავალ კითხვაზე იპოვით პასუხს ამ მოთხრობაში. ამასთან ერთად, გაეცნობით კანადელი ბავშვების ცხოვრებას.





# ძველი ეპოქის სამყაროში

# ეგვიპტე

ნანა კიკნაძე



ცნობილია, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი ეგვიპტესა და მესოპოტამიაში დაირწა. სწორედ ამ ორ სახელმწიფოში, რომლებსაც ძველი რომაელები აღმოსავლეთის ქვეყნებად თვლიდნენ, აღმოცენდა და განვითარდა უძველესი კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება.

თავისი ბუნებრივი მდებარეობის წყალობით, ეგვიპტეს საშუალება ჰქონდა ყველასაგან დამოუკიდებლად ეარსება. მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე მას არ განუცდია უცხოელთა შემოსევები. ამიტომ აქ წარმოქმნილი კულტურა და ხელოვნება უფრო თავისებური და თვითმყოფადია, ვიდრე მესოპოტამიისა.

მესოპოტამია, მცირე აზიის მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის შუა მოქცეული ქვეყანა, გამუდმებული ბრძოლებისა და პოლიტიკურ გადატრიალებათა ქარცეცხლში იყო გახვეული, აქ ერთიმეორეს სცვლიდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები; დამარცხებული ქვეყნის ნანგრევებზე აღმოცენდებოდა და ვითარდებოდა ახალი ქვეყანა, თავისი კულტურითა და ხელოვნებით. ამასთან ერთად, მესოპოტამიაში თავს იყრიდა ევროპისა და აზიის უმთავრესი სავაჭრო გზები, რომელთა საშუალებითაც აქ შემოდიოდა სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნაწარმოები. ცხადია, ყოველივე ამან თავისი დაღი დააჩნია მესოპოტამიის ხელოვნების თვითმყოფადობას. მიუხედავად ამისა, ეგვიპტური და მესოპოტამური ხელოვნება ერთი საერთო ხასიათის მქონეა. ამ ორ ქვეყანაში წარმოქმნილი ხელოვნების მთელი რიგი დარგები, მათ შორის ქანდაკება, დღემდე აოცებს მნახველს თავისი ბუმბერაზული ზომებით, ძლიერებით, თავისებური მკაცრი, გაყინული იერით, საიდუმლოებით სავსე შინაარსით, საზეიმო ხასიათით და, რაც მთავარია, მხატვრული ოსტატობის უმაღლესი დონით. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგვიპტური ქანდაკება.

ეგვიპტის სახელმწიფო 6000 წლის წინ ჩამოყალიბდა და ძველი წელთაღრიცხვის 332 წლამდე იარსება. სწორედ ამ წელს დაიპყრო იგი რომის იმპერიამ. ეგვიპტის უზარმაზარი ისტორია დაყოფილია სამ ძირითად ხანად: ძველი სამეფო ხანა, შუა სამეფო ხანა და ახალი სამეფო ხანა. ხელოვნებაც ამ დაყოფას მიჰყვება.

სახელმწიფოს სათავეში იდგა ფარაონი, რომლის ძალაუფლებას განამტკიცებდნენ ქურუმები და მდიდარი მიწათმფლობელნი. ფარაონებისთვის შენდებოდა გრანდიოზული სამარხები—პირამიდები, ვეებერთელა სვეტებიანი ტაძრები... ფარაონების განდიდებას სარწმუნოებაც უწყობდა ხელს. ამ სარწმუნოების მიხედვით ფარაონი ღმერთების შთამომავალი იყო, ამიტომ მას ღმერთების საკადრისი პატივისცემა ესაჭიროებოდა.

ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული — „კა" განაგრძობს სიცოცხლეს. მას შეუძლია ცოცხლებს სიკეთე ან ბოროტება მოუტანოს. ამიტომ, მის კეთილგანსაწყობად, სწირავდნენ მსხვერპლს, უშენებდნენ სამარხს, გარდაცვლილ გვამს ბალზამებდნენ და სამარადისოდ ინახავდნენ სარკოფაგებში — ქვის კუბოებში. გვამს განშორებული „კა" ეძებდა თავის ორეულს, რომ შესულიყო მასში და განეგრძო სიცოცხლე. ეს ორეული იყო ქვაში ან ხეში გამოთლილი ადამიანის ქანდაკება. მაგრამ ფარაონის სული მხოლოდ თავის განმეორებას, თავის მსგავს გამოსახულებას ეძებდა, რათა შემთხვევით სხვის ორეულში არ შესულიყო. ამიტომ პირველად ეგვიპტეში დაიბადა საჭიროება გარდაცვლილი ფარაონის მსგავსი ქანდაკების შექმნისა. ამის შედეგად შეიქმნა ქანდაკების ერთერთი სახე — პ ო რ ტ რ ე ტ ი. მსგავსი პორტრეტის შესაქმნელად მიცვალებულის სახიდან იღებდნენ ნიღაბს და მის მიხედვით აქანდაკებდნენ პორტრეტს ქვაში. მაგრამ ფარაონი ხომ ადამიანთა შორის უზენაეს არსებად ითვლებოდა, ამიტომ არ შეიძლებოდა მისი მიმსგავსება ჩვეულებრივი მოკვდავისადმი. რაგინდ უსახური, ხნიერი და დავრდომილი არ უნდა ყოფილიყო ფარაონი, ქანდაკება მას ძლიერ, ახოვან, მედიდურ მბრძანებლად წარმოსახავდა. სახისათვის მეტი სიცოცხლის მისაცემად, თვალებს ხშირად ძვირფასი ქვის ან ბროლისას უკეთებდნენ.

მაგრამ, როცა ფარაონზე დაბლა მდგომათა —ქურუმის ან დიდებულის გამოსახულებაზე მუშაობდა, ოსტატს მეტი თავისუფლება ჰქონდა და ისიც მეტ სიზუსტეს იცავდა. ერთხელ, გათხრების დროს, როდესაც მუშები წააწყდნენ ერთ-ერთი დიდებულის მთლიან გამოსახულებას ხეში, ერთხმად წამოიძახეს: „ეს ხომ ჩვენი სოფლის მამასახლისიაო", იმდენად ცოცხალი იერი ჰქონდა მას. დიდებული გამოსახულია დინჯად მოსეირნე, ხელჯოხიანი და ამაყად თავაწეული. ასეთი ქანდაკება და რელიეფი არაერთია შემორჩენილი ეგვიპტეში. ყველა ისინი სხვადასხვა დროს მიეკუთვნება. ზოგი ძალიან „მოხუცია" — 6000 წლისა ძველი სამეფო ხანის დროინდელი; ზოგი მათზე „ახალგაზრდაა", ისინი

# ი ქანდაკება

შუა სამეფო ხანაში დაიბადნენ და 4000 წელს ითვლიან; ზოგი კი სულ „ნორჩია“, მხოლოდ 1600 წლისა. ისინი ახალი სამეფო ხანის ნაწარმოებებია.

რას წარმოადგენენ ეს ნამუშევრები, რისთვის იყვნენ გამიზნულნი, რითი ხასიათდებიან, რა თვისებებით გამოირჩევიან იმ დროის სხვა ქვეყნების ხელოვნების ნაწარმოებებისაგან? აი, თუნდაც ძველი სამეფო ხანიდან შემორჩენილი ქანდაკების ჯგუფი. ეს არის დიდებულთა წყვილი— ცოლ-ქმარი რ ა ხ ო ტ ე ბ ი და ნ ო ფ რ ე ტ ი. ცოლი და ქმარი ცალ-ცალკე, თავთავიანთ ტახტზე სხედან გაყინულ, გაშეშებულ პოზაში. ფეხები ერთმანეთს მიტყუპებული აქვთ, ხელები კი — რახოტებს მუხლებზე მაგრად დაყრდნობილი, ხოლო თეთრ სამოსში გახვეულ ნოფრეტს — მკერდზე მჭიდროდ მიკრული. მათი სხეულები პირდაპირ შეხორცებულან იმ ტახტთან, რომელთანაც ერთად გამოიკვეთნენ. ცოცხალი აქვთ მხოლოდ სახეები; ჩასმული ბროლის თვალებით უსასრულობას მიშტერებიან. ეს ქანდაკებათა წყვილი მდგარა ამ ცოლ-ქმარის სულის მოსახსენებელ აკლდამაში, რათა მათ „კას“ შესძლებოდა ჩასახლებულიყო ქანდაკებაში და განეგრძო არსებობა. მოქანდაკეს, რა თქმა უნდა, შეეძლო უფრო ცოცხლად, რბილად გამოექანდაკებინა ადამიანის სხეული, მაგრამ სარწმუნოებით შექმნილი წესები არ აძლევდნენ მას ამის უფლებას. იქ კი, სადაც ეს დასაშვები იყო, ამ შემთხვევაში— სახის დამუშავებაში, ოსტატმა გამოიჩინა თავისი ნიჭი და დაკვირვება, მისცა მათ პორტრეტებს ზუსტი მსგავსება, სითბო და სიცოცხლე. ამ ქანდაკებიდან კიდევ სხვა საინტერესო ცნობის ამოკითხვაც შეიძლება. ეს არის ქვის ლოდიდან ქანდაკების გამოთლის ეგვიპტური წესი. ოსტატი იღებდა სათანადოდ შემზადებულ ოთხკუთხა ქვის სვეტს, რომლის ყოველ გვერდზე აკეთებდა შესაფერის ნახატს, შემდეგ მათ ცალ-ცალკე გამოკვეთავდა. ყველაზე ნაკლებ უკანა მხარეს დაამუშავებდა ხოლმე, რადგან ქანდაკებები თავსდებოდა ტაძრის შიგნითა კედელში გაკეთებულ საგანგებო ჩაღრმავებებში, ან გასასვლელების კედლის გასწვრივ, ე. ი. ზურგით კედელთან იყვნენ მიდგმულები. ამიტომაა, რომ მრგვალ ქანდაკებას სინამდვილეში ოთხკუთხედის შესახედაობა აქვს. ამ ჯგუფშივე ვხედავთ მესამე სახასიათო მხარეს, სახელდობრ — სკულპტურული ნამუშევრის შეღებვას ფერებით. არსებობდა წესი, რომლის თანახმად, მამაკაცის სხეული იფარებოდა მოწითალო-მოყავისფრო ფერით, ხოლო ქალისა — ყვითელით. ტანსაცმლის და სამკაულის გადმოსაცემად იხმარებოდა თეთრი, შავი, ლურჯი, წითელი საღებავები. საინტერესო ამბებს „მოგვითხრობენ“ სხვა ქანდაკებებიც, განსაკუთრებით — მჯდომარე ან „მოსიარულე“ ფარაონის გამოსახულებები. მას, თითქმის ყოველთვის, რომელიმე ღმერთის დამახასიათებელი ნიშნები უკეთდებოდა და ამით ხან ერთი ღმერთის ტოლი ხდებოდა, ხან მეორესი. ამ გამოსახულებებზე უფრო საინტერესოა ფარაონის გამოსახვა ეგრეთ წოდებული „ხებ-სედის“ წესისათვის. ეს წესი წარმოიშვა უძველეს ხანაში, როდესაც ეგვიპტე ჯერ კიდევ არ იყო მთლიანი სახელმწიფო და ადამიანები ცხოვრობდნენ ცალკეულ თემებად. თემს ჰყავდა ბელადი—ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი. ხალხს სწამდა, რომ მისი ძალა თემს ბედნიერებას და ძლიერებას ანიჭებს. თუ ბელადს სიბერე შეეტყობოდა, ან დასნეულდებოდა, მას უსათუოდ სცვლიდნენ ახალგაზრდა ბელადით. შეცვლის წესი დიდი ზეიმით ტარდებოდა. ყოფილ ბელადს საგანგებოდ გამოაწყობდნენ, დასვამდნენ ტახტზე და სიცოცხლეს ასალმებდნენ. შემდეგ დაკრძალავდნენ. მისი შემცვლელი ბელადი შემოუვლიდა სარკოფაგს და შეუდგებოდა მართვას. ამით ითვლებოდა, რომ თემი კვლავ ჯანსაღი და ძლიერი გახდა. რაც დრო გადიოდა, ზნე-ჩვეულებანი უფრო ლმობიერი ხდებოდა; ახლა აღარ კლავდნენ ბელადს, არამედ იწყეს მისი გამოსახულების „მოკვლა“ და „დაკრძალვა“. ეს წესი ფარაონზედაც გავრცელდა. სწორედ ამან გამოიწვია მისი მჯდომარე და მოსიარულე პოზის შემუშავება. მჯდომარე ქანდაკებას დიდი ზეიმით „კლავდნენ“, შემდეგ დაკრძალავდნენ, მოსიარულეს კი ტაძრის გარშემო შემოატარებდნენ. ამის შემდეგ, სინამდვილეში უძლური, მოხუცი ფარაონიც კი ძალ-ღონით სავსედ ითვლებოდა და შეეძლო განეგრძო მეფობა. ხებ-სედის მიხედვით, ფარაონი მთლიანად თეთრ სამოსში იყო გახვეული, ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი და მაღალი, წითელი ქუდი ეხურა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამენხოტ IV. ქანდაკება.

საინტერესოა ეგვიპტური ქანდაკების ერთ-ერთი ნიმუში. ეს არის გადამწერის ფეხმორთხმული გამოსახულება. გადამწერი ზის, მუხლებზე პაპირუსი გადაუშლია და სმენად, ყურადღებად არის ქცეული. ეგვიპტეში წერა-კითხვის მცოდნე თითებზე ჩამოითვლებოდა, ამიტომ მათ დიდად აფასებდნენ. ისინი თვითონაც აფასებდნენ თავის თავს და, მოისურვეს კიდეც—გადამწერის პოზაში დარჩენილიყვნენ საუკუნეთა მანძილზე.

არსებობს სხვა შესანიშნავი პორტრეტებიც, სადაც საკმაოდ ცოცხლადაა გადმოცემული ამა თუ ადამიანის სახის თავისებურება და ხასიათი, მაშინაც კი, როდესაც იგი წარმოდგენილია ზღაპრული სფინქსის სახით. ცნობილ ხ ე ფ რ ე ნ ი ს ს ფ ი ნ ქ ს ს სხეული გოლიათი ლო-

მისა აქვს (20 მ. სიგრძის), ხოლო უზარმაზარი თავი კი ამ ფარაონის— ხეფრენის პორტრეტს წარმოადგენს. ჩვეულებრივ ზომაში შესრულებული პორტრეტებიდან გამოირჩევიან მეფისწულების ა ნ ხ ა ა ფ ი ს და კ ა ა პ ე რ ი ს და დიდებულის — რ ა ნ ო ფ ე რ ი ს პორტრეტები. ჩამოთვლილი ქანდაკებები ტაძრებსა და სამარხებში იდგნენ და ნამდვილ სალოცავებად ითვლებოდნენ.

მიუხედავად ხელოვნების ერთგვაროვნებისა, შუა სამეფო ხანამ ქანდაკების გამოყენებაში სიახლე შეიტანა. ქანდაკებებს ახლა არა მარტო ტაძრების შიგნით დგამენ, არამედ გარეთაც — ტაძრის ეზოებში გამოაქვთ. ასე იქმნება მ ო ნ უ მ ე ნ ტ უ რ ი ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა, წინააღმდეგ ძველი სამეფო ხანის მ ო ნ უ მ ე ნ ტ უ რ - დ ე კ ო რ ა ტ ი უ ლ ი ქ ა ნ დ ა კ ე ბ ი ს ა. გარეთ დადგმულ ქანდაკებებს ჩვეულებრივი ხალხიც ხედავდა და ისინი კერპებად იქცეოდნენ. ასეთია ღია ცის ქვეშ მჯდომი, ფარაონ მ ე ნ ტ უ ხ ო ტ ე ბ III-ის 20 მეტრი სიმაღლის ბუმბერაზული გამოსახულება. რაც შეეხება პორტრეტულ ხელოვნებას, ამ ხანაში იგი კიდევ უფრო დაიხვეწა. ამის მაგალითია ფარაონ ს ე ნ უ ს ე რ ტ III-ის პორტრეტი.

კიდევ უფრო მეტი სიახლე მოაქვს ახალი სამეფო ხანის ხელოვნებას. ამ პერიოდში ფარაონის ღვთაებრიობას უკვე შერყეული აქვს ნიადაგი, ხალხი ნაკლებ მორწმუნე ხდება; ვითარდება ზუსტი მეცნიერებანი. თანაც ეგვიპტეს გარეშე მტერი შეესია და, ფარაონები, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდნენ, ჩვეულებრივი ადამიანებივით კვდებოდნენ კიდეც.

ამ მდგომარეობამ გაუადვილა ერთ-ერთ ფარაონს, ა მ ე ნ ხ ო ტ ე ბ I-ს, შეეცვალა ძველი სარწმუნოება ახლით, რამაც დიდი ცვლილებები გამოიწვია. შეიცვალა დედაქალაქის ადგილი — ამენხოტებმა იგი სრულიად ცარიელ ალაგას ააშენა და სახელად ა ხ ე ტ ა ტ ო ნ ი დაარქვა. თვითონაც გამოიცვალა სახელი და დაირქვა ე ხ ნ ა ტ ო ნ ი, რაც ნიშნავს ღმერთ ა ტ ო ნ ი ს სულს. უზენაეს ღმერთად აღიარებული იქნა ერთი ღმერთი — მზის დისკო ა ტ ო ნ ი. დანარჩენი ღმერთები კი დაგმობილი იქნენ. ეს პერიოდი გრძელდებოდა სულ 30 წელი, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა, რომ შემუშავებულიყო სრულიად განსხვავებული შინაარსის მქონე ხელოვნება. ქანდაკებაც, არქიტექტურაცა და ფერწერაც ადამიანისათვის უფრო მახლობელი და გასაგები გახდა. გამოსახულებებს მეტი სიმართლე სირბილე, სითბო შეემატა. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ეს თვისებები თვით ფარაონების გამოსახულებებსაც შეეხო. აღარ იმალებოდა მათი სხეულის დაუძლურება ან ნაკლოვანებანი. ასეთია, მაგალითად, თვით ფარაონ ეხნატონის ყველა გამოსახულება. იგი ყოფილა უშნო ტანის, წაგრძელებული თავით. ძველ დროში, რასაკვირველია, მას უსათუოდ გოლიათად გამოსახავდნენ. ეს სინამდვილე, სიმართლე, ახალი წარმოდგენები ყველაზე უკეთ აისახა მთელი ეგვიპტის ქანდაკების უძვირფასეს ნიმუშში — ეხნატონის მეუღლის დედოფალ ნ ე ფ ე რ ტ ი ტ ი ს რამდენიმე პორტრეტში. ეს ქანდაკებები, აგრეთვე ეხნატონის ქალიშვილების ქანდაკებები აღმოაჩინეს დედაქალაქის გათხრების დროს, მოქანდაკე ტუტმესის სახელოსნოში. იქნებ თვით ტუტმესიც იყო მათი ავტორი. ერთი კი ცხადია, — მათი შემქმნელი ოსტატი გენიალური მოქანდაკე იყო. რაოდენ საოცარი სიძლიერითაა გადმოცემული მოყვითალო, ოდნავ შუქგამტარ ქვაში ნეფერტიტის — ამ ლამაზი ქალის უნაზესი, სიცოცხლით სავსე სახე. იგი თითქოს მართლა სუნთქავს. მაგრამ ეს ახალი ხელოვნება მალე შეიცვალა ჩვეული ეგვიპტური მკაცრი სტილით.

ამ დიდი ზომის ქანდაკებების გვერდით საკმაო რაოდენობითაა შემონახული მცირე ზომის ქანდაკებები — სტატუეტები. ესენი არიან მდაბიო ხალხის — მეომრების, მსახურების, მოცეკვავეების, მუსიკოსების, ხელოსნების, მონების გამოსახულებები. ისინი გამოქანდაკებულნი არიან იმ საქმიანობაში, რომელსაც ეწეოდნენ. ეს ქანდაკებები გამიზნული იყვნენ „ჩრდილთა ქვეყანაში", ე. ი. საიქიოში ფარაონის და დიდებულების სულის მსახურებად. აი აქ კი, ამ ხალხის გამოსახვაში, ეგვიპტელი ოსტატი ნაკლებ შეზღუდული იყო წესებით.

გასაოცარ ნამუშევრებს ვხვდებით ქანდაკების მეორე სახეობაშიც — რ ე ლ ი ე ფ შ ი. ეგვიპტური რელიეფი ორგვარია: ერთი — ფონს ზევით ამაღლებული გამოსახულებით, მეორე — ფონში ჩაჭრილი გამოსახულებით. ასეთი, სიბრტყის სისქეში ჩაჭრილი რელიეფი, მხოლოდ ეგვიპტეს ახასიათებს. რელიეფით იფარებოდა კედლები და ისევე იღებებოდა ფერებით, როგორც მრგვალი ქანდაკებები. ამის გამო, ერთი შეხედვით, კედელზე შესრულებულ, ფერით დაფარულ ნახატს გავდნენ. რელიეფები მოგვითხრობდნენ ფარაონის საგმირო ამბებს, მის ნადირობას, დროსტარებას, ღვთაებრივ წარმოშობას, მსხვერპლის შეწირვას და სხვ. დიდებულთა სამარხების რელიეფის მთავარი თემა დიდებულთა ცხოვრება იყო. ძალიან საინტერესოა ადამიანების, ცხოველების, ბუნების, შენობების გამოსახულება. ყველაფერი საგანგებოდ მიბრტყელებულია





ფარაონ ნარმერის ფილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კედელზე. თუ საჭირო იყო ერთიმეორის უკან რაიმეს ან ვინმეს ჩვენება, მაშინ საგნებს, უბრალოდ, ერთიმეორის ზემოთ ათავსებდნენ. რაც უფრო ზემოთ იყო გამოსახული საგანი, მით უფრო შორს მდგომად ითვლებოდა იგი. ასეთი ხერხი რელიეფებს ხალიჩას ამსგავსებდა. ფარაონს აქაც განსაკუთრებული ადგილი და ზომა შეეფარდებოდა. იგი სიდიდით 4-5-ჯერ აღემატებოდა დანარჩენ ადამიანებს და გამოსახული იყო თავისებურად: სახე, ფეხები, ტერფები — გვერდითი ხედიდან, ხოლო მკერდი, მხრები — პირდაპირ, თითქოს ზურგით სიბრტყეზე მიკრული; სახე — უსათუოდ პროფილში (გვერდიდან), თვალები კი — პირდაპირ. ეს წესი საჭირო იყო იმისათვის, რომ გამოუსახავი არ დარჩენილიყო ადამიანის სხეულის არც ერთი ნაწილი. განსაკუთრებით მკაცრად და უცვლელად ვრცელდებოდა ეს კანონი მეფე-დედოფლის გამოსახულებებზე. მდაბიოებს აქაც უშუალოდ, თავისუფალ მდგომარეობაში და მოძრაობაში გამოსახავდნენ. პირველი რელიეფი, სადაც ჩამოყალიბდა და საბოლოო სახე მიიღო ამ წესებმა, არის ძველი დროის ფარაონ ნ ა რ მ ე რ ი ს ფილა. აქ გადმოცემულია მისი საგმირო ამბავი — ზედა ეგვიპტის ფარაონზე გამარჯვება. აქედან მოყოლებული, რელიეფის ხასიათი თითქმის არ იცვლება.

ეგვიპტის ხელოვნება მრავალი ათასი წლის განმავლობაში ემსახურებოდა გაღმერთებულ ფარაონთა განდიდებას. ამიტომაა, რომ დღემდე შემორჩა მხოლოდ მათი სამარხები — პირამიდები, სულის მოსახსენებელი ტაძრები, ნაკლებ — საერო შენობები: სახლები, სასახლეები და სხვ. ყველაფერი ეს თავისებურ მკაცრ იერს აძლევდა ხელოვნებას. იგი არ იყო უბრალო, თბილი, გასაგები. პირამიდისა და უზარმაზარ სვეტებიანი ტაძრის წინ მდგომი ადამიანი თავისთავს არარაობად და უსუსურად იგრძნობდა. სწორედ ეს უნდოდათ ფარაონსა და ქურუმებს, რადგან ამით შეეძლოთ სრულად ებატონათ ქვეშევრდომებზე.

ეგვიპტელმა მოქანდაკეებმა უაღრესად მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. მათ გვასწავლეს ქანდაკების ხელოვნების ბევრი ხერხი, ჩამოაყალიბეს ბევრი სახეობა, დაგვანახეს ამ დარგის მრავალი შესაძლებლობა. სწორედ ამით არის ძვირფასი მათი შემოქმედება.




## თბილი ზღვების საშინელება

დედამიწის ზურგზე მცხოვრები არც ერთი მტაცებელი არსება არ აყენებს ადამიანს იმდენ ზიანს, რამდენსაც — ზვიგენები.

აი, ციფრები: უკანასკნელი რვა წლის მანძილზე ზვიგენები 1410 კაცს დაესხნენ თავს, რომელთაგან 477 დაიღუპა. ეს მონაცემები, ამ ცოტა ხნის წინ იაპონიაში მოწვეულ კონგრესზე გამოაქვეყნა დოქტორმა ლეონგარდ შულცმა, რომელიც სწავლობს ზვიგენთა ცხოვრებას. ასე რომ, ზვიგენებთან ბრძოლა—აქტუალური პრობლემაა ტროპიკებსა და სუბტროპიკებში ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებთათვის.

## იხვის ერთგულება

რამდენი ამბავი არის ცნობილი შინაურ ცხოველთა ერთგულების შესახებ! მაგრამ ასეთი რამ სრულიად უჩვეულოა. აი, რა მოხდა: ერთ ინგლისელ ფერმერს ჰყავდა იხვი. დადგა დრო და, ფერმერმა იგი გაუიდა. ახალმა პატრონმა, ყოველი შემთხვევისათვის, ფრთები დააჭრა იხვს და სხვა ფრინველებთან ერთად ეზოში გაუშვა. მაგრამ იხვს ისე მოენატრა თავისი ძველი სახლი, რომ მალე დაადგა გზას და, გაიარა რა 18 კილომეტრი, ისევ ძველ პატრონს დაუბრუნდა.

## ჯიუტი არჩი

1922 წელს ინგლისში ყველა საათი ოფიციალურად გადასწიეს წინ ოცი წუთით. მხოლოდ ერთი, ვინმე არტურ არჩი, რომელსაც ახლახან 90 წელი შეუსრულდა, არ



დაეთანხმა ამ ბრძანებას. „არავის არა აქვს უფლება, ეს ოცი წუთი წამართვას", — იფიქრა ამ ჯიუტმა კაცმა. იგი დღესაც ძველი დროით ცხოვრობს. 44 წლის განმავლობაში არჩი ექვსჯერ დაითხოვეს სამსახურიდან სამუშაოზე სისტემატური დაგვიანების გამო, მაგრამ მან თავისი მაინც არ დათმო.

## ყველაზე ძლიერი მოცურავე

ოცდათექვსმეტი წლის ინდოელმა იურისტმა მოჰარ სენმა 36 საათში პანამის არხი გადასცურა. თუმცა ეს არც ისე გასაკვირია, — მოჰარ სენი მარათონული ცურვის ენთუზიასტია. მას უკვე მოუხდა ლა-მანშის, ბოსფორისა და დარდანელის, გიბრალტარისა და პოლკის სრუტეების გადაცურვა. თუ გავიხსენებთ, რამდენი ტრაგიკული ლეგენდა და თქმულება არსებობს სრუტეების გადამცურავებზე, შეიძლება ითქვას, რომ ინდოელმა იურისტმა წარსულის ყველა გაზღაპრებული მოცურავე დაჩრდილა.

## მუდმივი გლოვა

სასამართლო პროცესის დროს ყველა ინგლისელ ადვოკატს შავი მანტია აქვს წამოსხმული. როგორ წარმოიშვა ეს ტრადიცია?

1894 წელს გარდაიცვალა ინგლისის დე-



დოფალი; მისმა მეუღლემ, ვილჰელმ III-მ ბრძანა, დედოფლის გარდაცვალების გამო გლოვის ნიშნად, სასამართლოს ყველა ბრიტანელ მოსამსახურეს შავი ტანისამოსი ეტარებინა. ეს ბრძანება დღესაც არ არის გაუქმებული.

## ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა

მიუნხენში, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა კარლ შნეიდერი. გაზეთები ერთხმად გამოეხმაურნენ ამ ამბავს, რითაც პატივი სცეს თავიანთი ქალაქის „ღირსშესანიშნაობის" ხსოვნას. ვინ იყო მიუნხენის ესოდენი მშვენება კარლ შნეიდერი? აღმოჩნდა, რომ იგი მათხოვარი ყოფილა. შნეიდერი თურმე სამოცდაათი წლის განმავლობაში ერთი და იმავე ადგილას მდგარა ხელგაშვერილი.



წებო „ბფ-6“ გამოგადგება ტანსაცმლის, ხალიჩების, ტომრების და სხვა მისთანების შესაკეთებლად. გახსოვდეს რომ, ვიდრე ქსოვილის შეწებებას დაიწყებდე, უნდა გულდაგულ გაწმინდო იგი მტვრისა და ჭუჭყისაგან, შემდეგ დაასველო და მაგრად გაწურო. ამის მერე წაუსვი წებო ორ ფენად და იმ დრომდე აშრე ჰაერზე, სანამ თითზე მიკრობას დაიწყებდეს. ახლა უკვე შეგიძლია შესაერთებელი ადგილები ერთმანეთს დააწებო. შეწებებულ ადგილზე უნდა დააფარო სველი ტილო და ცხელი უთუთი გააუთაო.



გახსოვდეს, რომ წებო „ბფ-2“ აწებებს მხოლოდ ფაიფურის, ქაშანურის, მინის, პლასტმასის, ხისა და ლითონის ნივთებს. შეწებების ადგილი უფრო გამტკიცდება, თუ ნივთს ერთი საათის მანძილზე გაახურებ 120-150 გრადუს ტემპერატურამდე. მაგრამ, თუ ნივთი ისეთია, რომლის გახურება არ შეიძლება, მაშინ იგი ოთხი დღის განმავლობაში უნდა აშრო ოთახის ტემპერატურაზე.

სადურგლო წებო, სუფთა სახით, გამოიყენება ხის შესაწებებლად. წებოს ფილები მაღაზიებში იყიდება. ხმარების წინ წებო უნდა დააქუცმაცო, ჩაყარო წყალში და აცალო, ვიდრე აფუვდებოდეს. აფუებული წებო უნდა მოიხარშოს ქურქელში, რომელიც წყალში იქნება ჩადგმული (დახედე ნახატს).

იმისათვის, რომ ნივთი იყოს სუფთა და გლუვი, მას ზუმფარათი ასუფთავებენ. მაგრამ ამ დროს თითები არათანაბარი ძალით აწვებიან ქაღალდს და ნივთის გაპრიალებაც ჭირს. როგორ მოიქცე? აიღე გლუვზედაპირიანი ხის პატარა ნაჭერი, შემოახვიე მას ზუმფარა და ისე აპრიალე ნითვის ზედაპირი (დახედე ნახატს). მაგრამ თუ რაიმეს ხვრელი გაქვს გასაპრიალებელი, მაშინ ზუმფარა მრგვალ ჯოხზე დაახვიე (დახედე ნახატს) და ისე იმუშავე.

ვთქვათ, დაგჭირდა პაწია ლურსმნებით რაიმეს დამაგრება, მაგრამ ლურსმანს ხელში ვერ იჭერ მისი სიპატარავის გამო. როგორ მოიქცე? აიღე ჩვეულებრივი სავარცხელი, ლურსმანი მის კბილებს შორის მოათავსე და საქმეც გაგიადვილდება (დახედე ნახატს).

მესერის შეღებვა ფოკუსი არ არის. მაგრამ შეღებო ისე, რომ თითები არ დაისვარო, — ეს კი მართლაც ფოკუსია! თუმცა, თუ ფუნჯის ტარზე ტენისის ბურთის ნახევარსფეროს წამოაგებ. ამ „ფოკუსსაც“ ადვილად უჩვენებ და თითებსაც არ დაითხუპნი (დახედე ნახატს).







## სარჩევი


ს. შამფრიანი — ჩვენი ზაფხული (ლექსი) . . . გარეკ. 2
შ. ლარცულიანი — მეტალურგიული გიგანტი (წერილი) . 1
რ. ჯაფარიძე — ჯიმარაის ტუსაღები (მოთხრობა; გაგრძელება) . . . . . 4
ოქროს საწმისი 11
რევოლუციის ჯარისკაცი . . . 12
უცხოური იუმორი . . . 15
280 ბედნიერი ღიმილი (ფოტორეპორტაჟი პიონერთა ბანაკიდან) . . . . . 16
მ. ჩორგოლაშვილი — მსოფლიოში პირველი (წერილი) . . 18
არა-მწერალი — ხანჯალი (მოთხრობა) . 21
ბუნების კარი . 22
ნ. კიკნაძე — ეგვიპტური ქანდაკება (წერილი) . . . 26
ჯადოსნური სარკე . . . . . 29
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს . . 31
გამოგადგები . 32
თავშესაქცევი გარეკანის . . . . 3


გარეკანის პირველ გვერდზე — „მდინარეზე“, მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაგანიძე, ჯუანშერ ქვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43



„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 06109 ტირ. 67.700. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხე ლმ.-წერ. დასაბ. 15/VII-67 წ. სტამბის შეკვ. 2563. გამომც. შეკვ. 309. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ? თავშესაქცევი

## რომელი ქალაქებია?



აქ მოცემულ უჯრედებში უნდა ჩაწერო ქალაქების სახელწოდებები ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად და დიაგონალურად ისე, რომ ცენტრში ჩაწერილი ასო „ი" საერთო იყოს ყველა ქალაქის სახელწოდების დაბოლოებისათვის.

## შარადები

1.

ფრინველია, ღამით მუდამ
დამფრთხალი აქვს ძილი,
მეორეა — გაზაფხულის
კურკოვანი ხილი.
საჭიროა სიტყვებს შორის
თანხმოვანი ბგერა,
მაგრამ მაინც ეს შარადა
არ დასრულდა ჯერაც.
ბოლო სიტყვის ხმოვანს
შეცვლი
სხვა ხმოვანი ბგერით, —
ნაცრისფერი ჩიტი არის,
საამურად მღერის.

2.

ჯამში არის ჩამჯდარი
ყავისფერი ნაყოფი —
ბოლო ორი ბგერაა
შარადისთვის სამყოფი.
კიდევ ორი ნაწილის
მოფიქრება გჭირდება:
პირველია კავშირი,
თქმა ნუ გაგიჭირდება;
ერთიც — მუსიკალური
ბგერა არის საჭირო.
აბა, ახლა სამივე
შეაერთე, ყმაწვილო, —
გრძელნისკარტა ჩიტია,
ჭრელი ფრთები
ამშვენებს.
აკაკუნებს მთელი
დღე,
თითქოს ოდას აშენებს.

შ. ამირანაშვილი.

## გამოცანები

1.

ორჯერ დაბადებული,
ერთჯერ თავდადებული.

2.

შინ ჭია-მატლი თუ არის, —
კარს უკაკუნებს სტუმარი.

3

ტყეშია გაზრდილი
ცალფეხა ნადირი.
უძვლო და უბალნო
დავკალი ამ დილით.

გ. წერეთელი

## ავსტრალიის ირგვლივ

(ჩაინვორდი)

1. ავსტრალიასთან მდებარე კუნძული; 2. მდინარე ავსტრალიაში; 3. ზღვისპირა ქალაქი ავსტრალიაში; 4. ქალაქი ავსტრალიის შუაგულში; 5. ნახევარკუნძული ავსტრალიაში; 6. ცნობილი კონცხი ავსტრალიაში; 7. ავსტრალიაში გავრცელებული ცხოველი; 8. ტბა ავსტრალიაში.

შეადგინა
ჯ. ჩუბინიძემ.



## პასუხი მე-7 ნომერში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### გეოგრაფიული ჩაინვორდი

1. იაკუტსკი; 2. ირკუტსკი; 3. ირტიში; 4. ინდოსტანი; 5. ინდოჩინეთი; 6. იანძი; 7. ირანი; 8. იემენი; 9. იზმირი; 10. იორი; 11. იაროსლავლი; 12. იუკონი; 13. იზმაილი; 14. ინდოეთი; 15. ისრაელი; 16. იალბუზი; 17. ინგლისი.

### აბა, გამოიცანი!

1.ია; 2. მდინარეს ჰქვია კონგო, მოგზაურის გვარია ლივინგსტონი, იგი ინგლისელი იყო; 3 სახელმწიფოსაც და მდინარესაც კოლუმბია ჰქვია.

### აბა, სცადე!

ციფერბლატი იყოფა ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.





დედოფალი ნეფერტიტი. ქანდაკება.

ИНДЕКС 76157



გადამწერი. ქანდაკება.





მეფისწული კააპერი. ქანდაკება.